

თამარი ჩიტორელიძე

სამართლის არჩევის საკითხი საერთაშორისო კომერციულ
ურთიერთობებში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0178, საქართველო

საავტორო უფლება 2020 თამარი ჩიტორელიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თამარი ჩიტორელიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „სამართლის არჩევის საკითხი საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: გია ლილუაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: თამარი ჩიტორელიძე

დასახელება: სამართლის არჩევის საკითხი საერთაშორისო კომერციულ
ურთიერთობებში

ფაკულტეტი: იურიდიული

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პროგნოზების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი
დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი
არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული
აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი
ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე
მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის
გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით
დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის
ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას

ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების სწრაფი და მზარდი განვითარება თავის გავლენას ქართულ სამართლებრივ სივრცეშიც ახდენს, სახელდობრ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ-ურთიერთობებში სულ უფრო ხშირია ისეთი ტიპის საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების დადება, რომელიც მხოლოდ ქართული სამართლის რეგულირების სფეროს აღარ განეკუთვნება, შესაბამისად კომერციული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის არჩევის საკითხი საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებში სამართლის არჩევის განსაზღვრის უამრავი სამართლებრივი ბერკეტია შექმნილი, შიდასაკანონმდებლო თუ საერთაშორისოსამართლებრივი აქტების სახით. ამ ნაშრომში შევეცდები ვიმსჯელო, საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების თანმდევი სამართლებრივი ასპექტების შესახებ, რამდენად ეფექტურია ხელშემკვრელი მხარეების მიერ სამართლის არჩევა და ხდება თუ არა მისი პრაქტიკაში გამოყენება.

ასევე შევაფასებ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე საერთაშორისო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში დამკვიდრებული მიდგომებისა და ტენდენციების ქართულ სამართალთან შედარებას და კვლევის შედეგად ქართული სამართლებრივი სისტემისთვის პრაქტიკული მნიშვნელობისა და საყურადღებოს საკითხების განსჯა-გაანალიზებას.

Abstract

The current rapid and growing development of international commercial relations in the world is influencing the Georgian legal space, too. In particular, it is increasingly common to conclude such international commercial agreements in international private legal relations, which no longer belongs only to the field of regulation of Georgian law, accordingly, the issue of choosing the law governing a commercial agreement is one of the most important and considerable in international commercial relations. Numerous legal levers of determining the choice of law are created in such agreements whether in the form of domestic legislation or international legal acts. In this work, I will try to discuss the legal aspects accompanying international commercial relations, how effective is the choice of law by the contracting parties and whether it is applied in practice.

I will also evaluate the comparison of the approaches and tendencies established in the current international private legal relations in the developed countries of the world with the Georgian law and as a result of the research, I will make judgment and analysis of the issues of practical importance and attention for the Georgian legal system.

შინაარსი

შემოკლებანი/აბრევიატურები

შესავალი-----	8
თავი I. მხარეთა მიერ ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის არჩევის საკითხის ზოგადი მიმოხილვა-----	14
თავი II. მხარეთა ნების ავტონომიის საკანონმდებლო რეგულირება-----	18
I. მხარეთა ნების ავტონომიის აღიარება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით-----	18
II. მხარეთა ნების ავტონომიის აღიარება ევროპული და ამერიკული სამართლის მიხედვით-----	23
III. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და პერსპექტივები-----	32
თავი III. ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართალი, როდესაც იგი მხარეებს არ აურჩევიათ-----	39
I. მომწესრიგებელი სამართლის დადგენა საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში-----	42
II. მომწესრიგებელი სამართლის დადგენა საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებაში-----	48
III. მომწესრიგებელი სამართლის დადგენა საერთაშორისო დაზღვევის ხელშეკრულებაში-----	50
თავი IV. დისტანციურად დადებული საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების რეგულირება-----	51
I. გამოსაყენებელი სამართალი-----	52
II. საქართველოს კანონმდებლობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი--	54
თავი V. საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში სამართლის არჩევის ქართული მაგალითები-----	56
დასკვნა-----	59
გამოყენებული ლიტერატურა-----	61

შემოკლებანი/აბრევიატურები

ე.ი - ესეი იგი

ა.შ. - ასე შემდეგ

სხვ. -სხვა

სკსკ - საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი

CISG - Convention on the International Sale of Goods („საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათ შესახებ“).

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობები, რომლებიც დატვირთულია უცხოური ელემენტით.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემა **აქტუალურია** შემდეგი საფუძვლებით: მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფი და მზარდი განვითარება თავის გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებზე. მსოფლიო სამართლებრივ სივრცეში, სახელდობრ, კერძო სამართლებრივ-ურთიერთობებში სულ უფრო ხშირია ისეთი ტიპის საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების დადება, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის სამართლის რეგულირების სფეროს აღარ განეკუთვნება. ადვოკატებს, ნოტარიუსებს, კომპანიის იურისტებს და ცალკეულ შემთხვევებში მოსამართლეებს სულ უფრო და უფრო ხშირად უწევთ ისეთი ტიპის სახელშეკრულებო-სამართლებრივი გარიგებების, მოლაპარაკებების დადებისა და შესაბამისი დავის პროცესის თანხლება და წარმართვა, სადაც უცხო ქვეყნის სამართლისა თუ სასამართლოს ფაქტორის გათვალისწინება არის საჭირო.¹

საერთაშორისო კერძო სამართალში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ინსტიტუტს ხელშეკრულება წარმოადგენს, რომელიც დატვირთულია უცხოური ელემენტებით.² სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობებში გვხვდება ყველაზე ხშირად უცხოური ელემენტი. აქ კი წარმოიშობა გარკვეული კოლიზია თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული სამართლებრივი ურთიერთობის

¹ გ. სვანაძე, საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა N4, თბილისი, 2015

² ა. იოსელიანი, მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010

მომწესრიგებლად. შემთხვევითი არაა, რომ საერთაშორისო კერძო სამართალს ხშირად საკოლოზიო სამართალს უწოდებენ.

საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად მხარეთა მიერ არჩეულ უნდა იქნას ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართალი და არჩევა უნდა მოხდეს მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპით. ამ უკანასკნელის მიხედვით სამართალი უნდა აირჩიონ ხელშემკვრელმა მხარეებმა, თუმცა პრობლემა ამით არ იწურება. თითოეული მხარის სურვილია თავისივე ქვეყნის სამართალი იქნეს გამოყენებული ხელშეკრულების შესადგენად და მოსაწერიგებლად, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი მხარეებს შეუძლით ნეიტრალური - მესამე ქვეყნის სამართლის არჩევა. სამართლის არჩევის პროცესში კი თავს იჩენს კითხვები, რომლებიც საჭიროებს დასაბუთებულ და არგუმენტირებულ პასუხებს, კერძოდ რამდენად შეზღუდული არიან კონტრაქტები აირჩიონ ნებისმიერი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა? აუცილებელია თუ არა არჩეული ქვეყნის სამართალსა და ხელშეკრულებას შორის არსებობდეს გარკვეული კავშირი? როგორ უნდა მოწესრიგდეს ხელშეკრულება თუ მხარეები საერთოდ არ აირჩევენ ან, ერთმანეთში შეუთანხმებლობის გამო, ვერ აირჩევენ რომელიმე ქვეყნის სამართალს?³

კვლევის მიზანი: წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში სახელშეკრულებო ურთიერთობის მოსაწერიგებელი სამართლის არჩევის საკითხის ანალიზს. აღნიშნული თემით ჩემი დაინტერესება გამოიწვია იმ სირთულეებმა, რომელიც ვლინდება საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავის პროცესის წარმართვისას. საკიხთი უფრო და უფრო აქტუალური ხდება მას შემდეგ რაც საქართველომ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველმა ხალხმა დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე, კერძო საკუთრებაზე და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებზე აგებული

³ ა. იოსელიანი, მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლოზიო სამართალში, თბილისი, 2010

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, მეწარმეებს საშუალება მიეცათ შესაბამისი ხელშეკრულებების დადებით საქმიანი კავშირები დაემყარებიათ უცხოელ პარტნიორებთან. საქართველო და მისი კერძო სექტორი გლობალური ეკონომიკის ნაწილი ხდება. საერთაშორისო სამოქალაქო ბრუნვა კი, შესაბამისად, სამართლებრივ გაფორმებას პოვებს ხელშეკრულებებში. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებები სცილდება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის სამართლის რეგულირების სფეროს და უცხო ქვეყნის სამართლისა და მიდგომების გათვალისწინება ხდება საჭირო. ზემოთქმულის გათვალისწინებით, უდავოა, რაოდენ დიდ ინტერესს იძენს უცხოური ელემენტით დატვირთული ხელშეკრულებების პრობლემური საკითხების სიღრმისეულად შესწავლა.

ჩემი **ამოცანაა**, შესაბამისი ორგანიზაციების და ფიზიკური პირების მხრიდან მოხდეს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ღონისძიებების პრაქტიკაში სისტემატიური და სწორი გამოყენება, რათა მოხდეს წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების ეფექტურად წარმოება და ხელშეკრულების შედგენის ეტაპზე საკოლიზიო სამართლებრივი საკითხების მაქსიმალურად გათვალისწინება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ქართული ისტორია 1991 წლიდან იწყება. მოგვიანებით საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ოქტომბერს. აღნიშნული კანონის მიღებით საქართველო უფრო დაუახლოვდა დიდ საერთო ევროპულ ოჯახს, გაიზიარა რა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება საკოლიზიო სამართლის პრობლემატურ საკითხებში.

კვლევის მეთოდი: წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევისა და ანალიზის მეთოდი. აღნიშნული მოიცავს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის, ევროპული და ამერიკული საერთაშორისო კერძო

სამართლებრივი ნორმების ანალიზს. კვლევაში გამოყენებულია დედუქციური მეთოდი, რაც მოიცავს ზოგადი საკითხიდან კონკრეტულსკენ სწრაფვას და არსებული პრობლემების ნათლად გამოხატვის შესაძლებლობას. მოცემული ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლებად გამოყენებულია, როგორც ზოგად მეცნიერული, მათ შორის ისტორიული, ლოგიკური, ისე სპეციალური მეთოდები, როგორებიცაა აღწერილობითი, ნორმატიული და შედარებითი სამართლებრივი კვლების მეთოდები.

თემის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 5 თავისგან. მათ შორის პირველი წარმოადგენს შესავალს, სადაც განხილულია ნაშრომი მიზანი, მეთოდები, თემის აქტუალურობა, კვლევის ფარგლები და მეთოდები.

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს იმ ძირითადს როლს, რაც წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების სწორად წარმართვას აკისრია თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. საუბარია სამართლის არჩევისა და კომერციული მოლაპარაკებების მიმართებაზე. მსჯელობა განვითარებულია, საერთაშორისო კერძო სახელშეკრულებო სამართლის ფუძემდებლურ - ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან მიმართებით.

ნაშრომის მეორე თავს წარმოადგენს მხარეთა მიერ ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის არჩევის საკითხი, სიღრმისეულად არის გამოკვლეული ყველა ის გარემოება, რომელთა გათალისწინებაც მოუწევს მხარეებს ნების ავტონომიის ფარგლებში. მოცემული და გაანალიზებულია სამართლის არჩევის თაობაზე სხვადასხვა სამართლებრივი მაგალითი. ამ თავის პირველ და მეორე პარაგრაფში გამოკვლეულია მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპის აღიარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, გაანალიზებულია პრობლემური საკითხები. ძირითადად კვლევა ჩატარდა ევროპის რამდენიმე განვითარებული ქვეყნის, ამერიკისა და ქართული კანონმდებლობის საფუძველზე. მესამე პარაგრაფში კვლევა

მიმართულია ქართული და უცხოური სამართლის კვლევაზე, გაანალიზებულია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებები.

მესამე თავში საუბარია კომერციული ხელშეკრულების მომწესრიგებელ სამართალზე, როდესაც მისი არჩევა მხარეთა მიერ არ მომხდარა. აღნიშნულ თავში გამოკვლეულია ყველა ის ძირითადი კრიტერიუმი, თუ რომლის მიხედვით უნდა მოწესრიგდეს და დარეგულირდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ხოლო დავის წარმოშობის შემთხვევაში, რომელი ქვეყნის სამართლის გამოყენების საკითხს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ამ თავის პირველ, მეორე და მესამე პარაგრაფში განხილულია სხვადასხვა სამართლებრივი ხელშეკრულების პრაქტიკული ნაწილი. მსჯელობა და ანალიზი ეხება სხვადასხვა საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის განსაზღვრის კვლევას.

მეოთხე თავი მოიცავს დისტანციურად დადებული დადებული კომერციული ხელშეკრულებების რეგულირებულ საკითხებს. გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შედარებით-სამართლებრივ ანალიზს და არსებული პრობლემური საკითხების კვლევას.

მეხუთე თავში გამოკვლეულია საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებაში სამართლის არჩევის საკითხის ქართული მაგალითები. კვლება ჩატარდა რამდენიმე კომპანიაში, რომელსაც საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ყოველდღიურად უწევს რამდენიმე ათეული საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების გაფორმება უცხოელ პარტნიორებთან. კვლევის მიზანია თუ რამდენად ანიჭებენ ყურადღებას ბიზნეს პარტნიორები ხელშეკრულების მოლაპარაკებოს პროცესში მომწესრიგებელი სამართლის არჩევის საკითხს, რა პრობლემების გადალხვა უწევთ ამ ეტაპზე ან თუ მათ მიერ არ ხდება მომწერიგებელი სამართლის წინასწარ განსაზღვრა რა არის ამის მიზეზი, ის რომ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული თუ უბრალოდ სამართლებრივი

საკითხის არცოდნა. კვლევის შემდგომ ნაშრომში განხილული იქნება სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია გამოკვლელული კომპანიების სასამართლო პროცესთან.

მეხუთე თავში მოცემულია დასკვნა, რომელიც ითვალისწინებს თემაში განხილული საკითხების შეჯამებას და იმ ძირითადი ელემენტებისა და კვლევის პროცესში გამოვლენილი პრობლემური საკითხების ჩამოყალიბებას, რომელიც მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში სამართლის არჩევის საკითხის აუცილებლობისთვის. დასკვნაში მოცემულია ის ქმედებები, რაც შეიძლება განხორციელდეს ქართული კანონმდებლობის დასახვეწად და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოვებლად.

თავი I. მხარეთა მიერ ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის არჩევის საკითხის ზოგადი მიმოხილვა

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი საფუძვლად უდევს სახელშეკრულებო სამართალს, რაშიც იგულისხმება კერძო სამართლის სუბიექტის შესაძლებლობა, თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების არა მხოლოდ შინაარსი, არამედ ამ ხელშეკრულების დადების ფორმა, მისი განმარტება და ა.შ. აღნიშნული პრინციპი უმნიშვნელოვანესია ადამიანებს შორის დამყარებული ნებისმიერი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობისთვის.⁴

საერთაშორისო კომერციული ურთიერთობები მოიცავს ისეთ ხშირ შემთხვევებს, როდესაც ნაციონალური სამართალი თავისი დებულებებით ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს და ვერ ესადაგება საერთაშორისო კომერციული ტრანზაქციების სპეციფიკურ მოთხოვნებს ან პირიქით უარყოფით ზეგავლენასაც კი ახდენს მსგავს ურთიერთობათა ნორმალურ განვითარებაზე. საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებები ხშირ შემთხვევაში იწვევენ კანონთა კონფლიქტის პრობლემას (კოლიზიას).

საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტს სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოადგენს.⁵ მსოფლიოში ყოველდღიურად ასეული მილიონობით ხელშეკრულება იდება. ხშირად მხარეები ვერც კი აცნობიერებენ იმას, რომ ისინი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილენი ხდებიან და შესაბამისად, ხშირად ერთგვებიან საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.⁶ წინამდებარე თავში ამ თვალსაზრისით აქცენტი

⁴ ლაბაძე,მ. ხელშეკრულების თავისუფლება და მისი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2019.

⁵ ჯორბენაძე,ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017.

⁶ გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

გაკეთებულია მნიშვნელოვან საკითხზე: ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას არჩევანის გაკეთების თავისუფლებაზე, რომლის ფარგლებშიც მხარეებს შეუძლიათ მომწესრიგებელი სამართალი და განსჯადი სასამართლო აირჩიონ. აღნიშნული დამოუკიდებელ და თვითმყოფად ხელშეკრულებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.⁷ ხელშეკრულებაში მხარეთა სურვილისამებრ შესაბამისი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, თავის მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზაციის წინაპირობას წარმოადგენს. რეალიზაციის შესაძლებლობა კი მრავალმხრივ განშტოებას პოულობს: მხარეებს აქვთ უფლებამოსილება, რომ ხელშეკრულების ფორმა სხვა, ხოლო მისი ცალკეული პირობა სხვა ქვეყნის კანონმდებლობას დაუქვემდებაროს.⁸

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებები თავისი ხასიათით უფრო პრაგმატულია, განსხვავებით შიდასახელმწიფოებრივი სამართლისგან, სადაც სამართლებრივი დოკუმენტები ერთ გარკვეულ მთლიანობაში მოქმედებენ.⁹ მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ ამომწურავად და დეტალურად ჩამოაყალიბონ ხელშეკრულებაში, როგორც თავიანთი უფლებები, ისე ვალდებულებები, რათა თავიდან იქნას აცილებული უზუსტობა თუ ყოველგვარი სამომავლო შეზღუდვა. მხარეები ყოველთვის იღწვიან იმისათვის, რომ მათი უფლებაუნარიანობა, მოქმედების არეალი მაქსიმალურად ფართო იყოს. შესაბამისად, ისინი ხშირ შემთხვევაში, ნაციონალურ კანონმდებლობასთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებენ სხვა ქვეყნის კანონმდებლობას. თუმცა, ამგვარი მცდელობის მიუხედავად, მხარეები არცთუ იშვიათად დგებიან გადაულახავ წინააღმდეგობათა წინაშე, რომლებსაც იწვევს, მაგალითად, ენობრივი ბარიერები, არჩეული სამართლის საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ნორმების არასიღრმისეული შესწავლა,

⁷ ჯორბენაძე,ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017.

⁸ ჯორბენაძე,ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017.

⁹ მათიაშვილი,ზ. სამართლის ჟურნალი, საერთაშორისო სამართალი, UNIDROIT - საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, თბილისი, 2000

სამართლებრივი შედეგის არასწორი აღქმა ან ვარაუდო დავის წარმოშობის თაობაზე. შესაბამისად, საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში მხარეთა მიერ თავიანთი უფლებების გამოყენება, მათთვის სასურველი კანონმდებლობის არჩევის მხრივ, მაინც ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მხარეთა მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებას.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სულ უფრო და უფრო გლობალიზირდება და, ამასთან ერთად, მრავალმხრივობისა და უნიფიცირებისაკენ მიემართება, საქმიან ურთიერთობებში ხშირია უთანხმოება არათუ განვითარებული და მესამე მსოფლიოს ქვეყნების იურისტებს, არამედ თვით განვითარებული ქვეყნების საქმიან წრეებს შორის.¹¹

აღსანიშნავია, რომ მხარეებს საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობის წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში საშუალება ეძლევათ აირჩიონ სასურველი კანონმდებლობა და კომერციული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართალი. მხარეთა უფლება-მოვალეობები, გარიგების შინაარსი და სამართლის არჩევის საკითხი მთლიანად მათი უფლებამოსილებითა და შეთანხმების მიღწევით განისაზღვრება, მაგრამ ხშირად სამართლის განსაზღვრის სირთულის გამო, პარტნიორები ცდილობენ რაც შეიძლება დეტალურად ჩამოაყალიბონ თავიანთი ურთიერთობები კონტრაქტში, სწორედ აღნიშნულ საკითხზე შეუთანხმებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს დავა, ხელშეკრულების გაფორმების გადავადება ან საერთოდ სახელშეკრულებო მოლაპარაკების კრახით დასრულება. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის არჩევის საკითხი ადვილი არ არის, ვინაიდან ისევე როგორც თითოეული ხელშეკრულების პირობა საჭიროებს მხარეთა შორის შეთანხმებას, ასევე საჭიროებს

¹⁰ მათიაშვილი.ზ, სამართლის ჟურნალი, საერთაშორისო სამართალი, UNIDROIT - საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, თბილისი, 2000

¹¹ იქვე გვ.8

სასურველი სამართლის არჩევა ხელშემკვრელი მხარეების ნების ურთიერთანხვედრას. მაგალითად, იაპონური კომპანიებისათვის სრულიად მიუღებელი იქნებოდა ისეთ კანონზე დაყრდნობა, რომელიც მხარეებს შორის დავის შემთხვევაში მოითხოვს მის ამერიკაში სამართალწარმოებას, ვინაიდან იაპონელები გასაიდუმლოებას მოითხოვენ, განსაკუთრებით როცა დავა ეხება მათი საქონლის ხარისხს.

სკს-თვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობათა ჰუმანიზაცია - ადამიანის უფლება-თავისუფლებების დაცვა. საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობისას მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ხდება სამართლით, სამართლებრივი მეთოდებითა და საშუალებებით. იმისათვის რომ, დადგინდეს საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების სტანდარტული მუხლების სამართლებრივი შინაარსი საჭიროა გაირკვეს, თუ რომელი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განიმარტოს ისინი.

თავი II. მხარეთა ნების ავტონომიის საკანონმდებლო რეგულირება

თანამედროვე სკს-ის დოქტრინაში უმნიშვნელოვანესი ადგილი „მხარეთა ნების ავტონომიის“ პრობლემას უკავია. ნების ავტონომია წარმოადგენს სკს-ის ინსტიტუტს და მისი სამართლებრივი რეგლამენტირება ხდება არა მარტო ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიერ, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზეც.¹² მხარეთა ნების ავტონომია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია საერთაშორისო კერძო სამართლისთვის. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი „მხარეთა ნების ავტონომიის“ ცნებაში გულისხმობს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ არჩეულ რომელიმე ქვეყნის სამართალს, რომელსაც ისინი უქვემდებარებენ წინამდებარე ხელშეკრულებას.¹³

თავისი სამართლებრივი ბუნებით, ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების შესაბამისად, გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმება წარმოადგენს თვითმყოფად, დამოუკიდებელ ხელშეკრულებას. რომელიც აღნიშნულ სტატუსს თავისი თვითმყოფადი ფუნქციისა და ბუნების გამო მაშინაც ინარჩუნებს, როდესაც გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმება ძირითადი ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს რომელიმე მუხლის სახით.¹⁴

I. მხარეთა ნების ავტონომიის აღიარება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. კერძოდ, კანონის მხოლოდ ის მუხლები, რომლებიც ჩვენი საუბრის თემას შეეხება. კანონის 35-ე მუხლით აღიარებულია მხარეთა უფლება

¹² გაბისონია,ზ.გაბისონია ზ, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ.110.

¹³ ენციკლოპედიური ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12675>

¹⁴ გ.სვანაძე, საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა N4, თბილისი, 2015, გვ.49

აირჩიონ ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართალი: „სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრება, კერძოდ, ხელშეკრულებათ განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეთა მიერ არჩეული ქვეყნის სამართალი“. აღნიშნული მუხლი ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ და ზოგად-სამართლებრივ პრინციპს მხარეთა ნების ავტონომიის შესახებ. ნების ავტონომიის, როგორც საკოლიზიო პრინციპის, როგორც მიმაგრების ფორმულის მიმართ წამოიჭრება ზოგიერთი საკითხი, რომელსაც უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.¹⁵

ზემოთაღნიშნული ნორმის გაცნობისა და გაანალიზების შემდგომ წარმოიშვება ლოგიკური კითხვა, თუ რა ფორმით ხდება მხარეთა მიერ სასურველი ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის არჩევა? რას გულისხმობს კანონმდებელი ნების გამოვლენის მხოლოდ წერილობით ფორმას თუ შესაძლებელი და საკმარისია მხარეთა ზეპირი შეთანხმება?

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მხარეთა მიერ სამართლის არჩევა სხვა არაფერია თუ არა გარიგება, ეს უკანასკნელი კი როგორც ცნობილია, პირველ რიგში ნების გამოვლინებას წარმოადგენს. იგი შეიძლება ვლინდებოდეს აშკარა (პირდაპირი) სახით, დუმილით ან კონკლიუდენტური ქცევით.¹⁶

ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში თუ რა ფორმით უნდა მოხდეს სამართლის არჩევის საკითხი, თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ მხარეებმა თავიანთი ნება უმჯობესია

¹⁵ ლილუაშვილი თ, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, გვ.78

¹⁶ იოსელიანი ა, მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.37

გამოხატონ წერილობითი ფორმით და ამის შესახებ მითითება გააკეთოთ ხელშეკრულების რომელიმე მუხლში ან გააფორმონ დამატებითი შეთანხმება მომწესრიგებელი სამართლის არჩევასთან დაკავშირებით. წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებასა და ამ გარიგებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეთანხმებას სახელშეკრულებო სამართალში დიდი მნიშვნელობა გააჩნია მისი ფუნქციონალური დატვირთვიდან გამომდინარე. მისი საშუალებით მხარეებს რიგი მიზნების მიღწევა შეუძლიათ. მხარეთა ნების წერილობითი ფორმა დროთა განმავლობაში ემსახურება მხარეთა შესაბამის მიზნებს, რომელიც ქმნის დოკუმენტის შემდგენის ამოცნობისა და სამოქალაქო ბრუნვაში მტკიცებითი ტვირთის ტარების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე სამართლის არჩევის შესახებ შეთანხმება მოხდეს არაპირდაპირ, ნების დუმილით გამოხატვით. რა თქმა უნდა კანონმდებელი აღნიშნულთან დაკავშირებით შეზღუდვას არ ითვალისწინებს, თუმცა დავის წარმოშობის შემთხვევაში სასამართლოები ძალზე შორს წავლენ მხარეთა განზრახვის ძიებაში და მათ მიაწერენ იმას, რასაც შესაძლოა სინამდვილეში სულაც არ ჰქონდა ადგილი.¹⁷ პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე მხარეთა ნება სასურველია გამომდინარეობადეს წერილობითი შეთანხმებიდან.

პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს სკს-ის შესახებ კანონის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება იმის შესახებ, რომ „არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართალით ხელშეკრულების დადების შემდეგაც“, დამკვიდრებული ამ დებულებიდან ორი დასკვნა გამომდინარეობს: 1. თუ მხარეების შეთანხმდნენ და აირჩიეს ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი, მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი თავიანთ შეთანხმებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შესახებ მხარეთა შეთანხმება

¹⁷ იოსელიანი ა, მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.38

იქნეს იურიდიულ ძალმოსილებას; 2. არჩეული ქვეყნის სამართალი მხოლოდ ისევ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს.¹⁸ დღესდღეობით თანამედროვე მსოფლიოში კონტრაქტთა უფლებას ხელშეკრულების დადების შემდეგ, შეცვალონ ერთხელ უკვე არჩეული კომპეტენტური სამართალი სხვა ქვეყნის სამართალით არ გააჩნია რეალური ოპონენტი. აღნიშნული ნორმა სრულად ემყარება და ითვალისწინებს მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს, თუმცა აუცილებელია ვისაუბროთ ნორმის შინაარსობრივ ნაწილზე და სიღრმისეულად, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე მოვახდინოთ პრობლემური საკითხების განხილვა.

2000 წლის 7 აგვისტოს ერთი მხრივ სს „საქართველოს საფოსტო ბანკს“ და Imperial Wine Limited-სა (კრედიტორები) და მეორე მხრივ შპს „კარდანახი XXI“ შორის (მსესხებელი) დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის 22-ე პუნქტის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო შემდეგი: „წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულება რეგულირდება და მისი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად“. მოსარჩელემ Imperial Wine Limited-მა სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სასამართლო, დაეყრდნო ქართული მატერიალური სამართლის ნორმებს, უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა აღნიშნულ სარჩელი. საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ კონტრაქტებმა თავდაპირველად აირჩიეს ინგლისის მატერიალური სამართალი. თუმცა, საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და არა ინგლისის სამართალით. მოსამართლემ ავტომატურად გამოიყენა ქართული სამართალი, ისე რომ თავის გადაწყვეტილებაში არც კი უხსენებია თუ რა მოსაზრებათა გამო მივიდა იგი ამგვარ დასკვნამდე. როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, სასამართლო მართებულად მოიქცა, როდესაც მან გამოიყენა არა მხარეთა მიერ არჩეული უცხო ქვეყნის სამართალი, არამედ ქართული

¹⁸ ლილუაშვილი თ, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, გვ.80

მატერიალური სამართალი, ვინაიდან საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ორივე მხარე თავის მოთხოვნებს ამყარებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ნორმებზე“. მათ არც სარჩელში, არც შესაგებელში და არც სასამართლო სხდომაზე სიტყვაც არ დაუძრავთ ინგლისის მატერიალურ სამართალზე არათუ მისი გამოყენების აუცილებლობაზე.¹⁹

ზემოთხსენებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ მხარეთა მიერ უკვე არჩეული მომწესრიგებელი სამართლის სისტემის შეცვლა შესაძლოა მოხდეს როგორც, პირდაპირ ასევე არაპირდაპირი სახით. პირდაპირი შეთანხმების დროს, მხარეები აკეთებენ შესაბამის წერილობით ან/და ზეპირ დათქმას და უკვე არჩეული სამართლის სისტემას ცვლიან ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე. პირდაპირი სახით შეთანხმება იქნება ასევე, თუ მხარეები სასამართლო სხდომაზე განაცხადებენ, რომ სურთ არჩეული სამართლის შეცვლა სხვა ქვეყნის სამართლით. არაპირდაპირი სახით შეთანხმების მაგალითია ზემოთ განხილული სასამართლო გადაწყვეტილება, მხარეებმა არაპირდაპირი ფორმით გამოხატეს ნება და აირჩიეს ახალი სამართალი ანუ *lex fori*. არაპირდაპირი ფორმით ახალი სამართლებრივი სისტემის არჩევა გამომდინარეობდა მათ მიერ წარდგენილი სარჩელითა და შესაგებლით, რომელიც მთლიანდ ემყარებოდა ქართულ კანონმდებლობას, ასევე არ ერთ მათგანს არ დაუყენებია მოთხოვნა, რომ სამართალწარმოება წარემართათ ინგლისური კანონმდებლობის საფუძველზე. სასამართლომ ივარაუდა და ჩათვალა, რომ არაპირდაპირი განცხადების ფორმით, მხარეთა შეთანხმებით მოხდა უკვე არჩეული მომწესრიგებელი სამართლის ჩანაცვლება ახალი სამართლებრივი სისტემით.²⁰

¹⁹ იოსელიანი ა, მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.44

²⁰ იქვე გვ.45

ისმის კითხვა, რამდენად იყო სასამართლოს კომპეტენცია, რომ მხარეებისთვის ეკითხა, სურთ თუ არა მათ ქართული მატერიალური სამართლის გამოყენება? აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ავალებს სასამართლოს მსგავს საკითხებში ჩარევას, პრაქტიკიდან გამომდინარე მოსამართლეები თავიანთ გადაწყვეტილებას lex fori-ს გამოყენების სასარგებლოდ ასაბუთებენ მხარეთა ჰიპოთეზურ ნებაზე დაყრდნობით. მათი აზრით პირდაპირი და არაპირდაპირი სახით შეთანხმებას აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა, რომელიც საფუძველია არჩეული სამართლის სხვა სამართლებრივი სისტემის შეცვლის. აქედან გამომდინარე მხარეებს სამართლის შეცვლა შეუძლით ნებისმიერ დროს, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით გამოხატვის გზით.

ამავე დროს უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ერთი პრეცედენტი, როდესაც სასამართლო კოლეგიამ შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკის მსგავსად დააზუსტებინა მხარეებს თუ რომელი ქვეყნის მატერიალური სამართლით სურდათ მათ ხელშეკრულების მოწერილება. მხარეებს არჩეული ჰქონდათ ინგლისის სამართალი, თუმცა საქმის განხილვის დრო მიმართეს თბილისის სასამართლოს, მოსამართლემ დააზუსტა ნამდვილად სურდათ თუ არა არჩეული სამართლის შეცვლა სხვა ქვეყნის სამართლით, რაზეც მხარეთა დასაბუთება იყო შემდეგი, საქმის განხილვის დაჩქარების ინტერესებიდან გამომდინარე მათი ერთობლივი სურვილი იყო საქმე განხილული ყოფილიყო ქართული კანონმდებლობით.

II. მხარეთა ნების ავტონომია ევროპული და ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით

მხარეთა ნების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს ასრულებს, როგორც კოლიზიურ, ასევე საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ კონტექსტში. თავისი სამართლებრივი

ბუნებით გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმება წარმოადგენს თვითმყოფად, დამოუკიდებელ ხელშეკრულებას. მხარეთა ნების ავტონომიის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასურველი სამართლის თაობაზე ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმება.²¹ მსოფლიოს უფრო და უფრო მეტი მკვლევარი აღიარებს პრინციპს, რომ ხელშეკრულების მხარეები ზოგადად შესაძლოა შეთანხმდნენ კანონმდებლობაზე, რომელიც დაარეგულირებს მათ შორის არსებულ ურთიერთობას. სწორედ ამიტომ, უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა ავტონომიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მხარეთა ნების ავტონომია არის საერთაშორისო გლობალური ფენომენი, მიზანი სამართლის არჩევის არის ის რომ საერთაშორისო კერძო ურთიერთობებში სადაც მონაწილეობს უცხო ელემენტი მიაღწიოს, გამოსავალს დავის არსებობის შემთხვევაში.²²

პირველი ქვეყანა სადაც აღიარებული იყო ნების ავტონომიის პრინციპი იყო ინგლისი. ინგლისის სამართალი არ ზღუდავს მხარეთა ავტონომიას. ინგლისურ კანონმდებლობაში ზოგადად მიღებულია, რომ ხელშეკრულების მომწესრიგებელი სათანადო კანონმდებლობა არის ის, რომელსაც ირჩევენ მხარეები - იქნება ეს ცხადად გამოხატული თუ ნავარაუდევია და ეს არჩევანი ითვლება საბოლოოდ და ვალიდურად. თუმცა, მოითხოვება, რომ მხარეთა არჩევანი იყოს კანონიერი. სათანადო კანონმდებლობა, ჩამოყალიბებული ლორდთა პალატის მიერ, მათი სასამართლო გადაწყვეტილებების მეშვეობით, რაც დეისი ენდ უესტლეიკის დამსახურებაა, წარმოადგენს საკანონმდებლო სისტემას, რომელიც გამოიყენება ხელშეკრულების კანონიერების დასადგენად, რაც მოიცავს მის ფორმირებას, ვალიდურობას, ინტერპრეტაციასა და განხორციელებას. ეს სისტემა გავრცელებულია

²¹ გ.სვანაძე, საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა N4, თბილისი, 2015, გვ.49

²² Hook M., The choice of law contract, Oxford and Portland, Oregon, 2016, p.1

თითქმის ყველა ქვეყანაში, მაგრამ ტერმინი "სათანადო კანონმდებლობა" მაინც საერთო სამართლის ქვეყნებს მიემართება. შესაბამისად, როდესაც ხდება კონტრაქტის ფორმირება, მრავალი შეკითხვა წარმოიშობა სწორედ ფორმირებასთან და კონტრაქტის მარეგულირებელ სამართალთან დაკავშირებით. არსებობს თუ არა შესაძლებლობა, რომ კონტრაქტის დასარეგულირებლად გამოიყენებოდეს ერთზე მეტი სამართლებრივი სისტემა? ამგვარ შეკითხვებზე ცალსახა პასუხები არ არსებობს. მათი განხილვა უნდა მოხდეს კონკრეტული შემთხვევის სიღრმისეულად განხილვის შედეგად. თუმცა, არსებობს ზოგადი მიდგომებიც, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად ჩამოყალიბდა და შესაძლოა ერთგვარი შაბლონის სახით იქნას გამოყენებული. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე განიმარტა, არსებობს მხარეთა ავტონომია და მას უდიდესი როლი ენიჭება კონტრაქტის აღსრულებისას. მხარეებს გააჩნიათ ავტონომია, თავად აირჩიონ სამართლებრივი სისტემა, რომელმაც მათი კონტრაქტი უნდა დაარეგულიროს. როდესაც განვიხილავთ სათანადო კანონმდებლობას, ამ კონტექსტში აგრეთვე გამოიყენება სხვა განსაზღვრება, ესაა კონტრაქტში "კანონმდებლობის ინკორპორირება" (incorporation of law). ეს ისეთი პრინციპებია, რომლებიც წარმოადგენს კონტრაქტის ნაწილს და ამავდროულად, სამართლებრივი სისტემის სამართლებრივ პრინციპებსაც. თუმცა, ისინი განსხვავდება სათანადო კანონმდებლობისგან, ვინაიდან მათი კონტრაქტებში გათვალისწინება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კონტრაქტის სხვა ძირეული დებულებებისა. სწორედ ამიტომ, სამართლებრივი სისტემის ნებისმიერი ცვლილება ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში, რომლის სამართლებრივ პრინციპზეც მითითება გაკეთებულია კონტრაქტში, ზეგავლენას არ ახდენს თავად კონტრაქტზე.²³

აღსანიშნავია, რომ ინგლისური კანონმდებლობის მიხედვით ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართალი შესაძლოა შერჩეულ იქნას არა მხოლოდ ერთი სისტემის სახით, არამედ მითითება მოხდეს რამდენიმე სამართლებრივ სისტემაზე

²³ J.Shilpa Sinh & Estheri Boro, Choice of law in private international law & international contracts, p.7

და ბოლო პერიოდში დამკვიდრებული ტენდენციის მიხედვით, მხარეები ხშირად ირჩევენ როგორც ეროვნულ, ისე საზღვარგარეთის სამართლის სისტემებს. არსებობს ერთგვარი ნდობის მომენტი მხარეთა "სურვილის ავტონომიურობის" მიმართ, ანუ როცა ხდება ავტონომიურობის პრინციპის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რაიმე სახის კავშირი რომელიმე სამართლებრივ სისტემასთან, ვინაიდან ხდება იმ აზრის განვრცობა, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა კანონმდებლობას და არ არსებობს სხვა სამართლებრივი სისტემის საჭიროება. მხარეთა ავტონომიის, როგორც კანონმდებლობის არჩევის საკითხის პრობლემის მოგვარების აღიარება, წარმოადგენს თანამედროვე კოლიზიური თეორიის ერთ-ერთ დიდ წარმატებას.

მხარეთა ნების ავტონომია არის ასევე აღიარებული საფრანგეთის კანონმდებლობით. ფრანგული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით მხარეები აღჭურვილი არიან უფლებით ხელშეკრულების გაფორმების მომენტში აირჩონ მათთვის სასურველი სამართალი, მოქმედებს პრინციპი, რომ „ხელშეკრულების დადების, მისი ნამდვილობის და შინაარსის მომწესრიგებელი სამართალი არის ის სამართალი, რომელიც მხარეებმა აირჩიეს“. ფრანგული საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით მხარეებმა შესაძლოა აირჩიონ სხვა ქვეყნის სამართალი და ხელშეკრულება დაუქმდებარონ არა მხოლოდ ფრანგულ, არამედ მესამე ქვეყნის ნეიტრალურ სამართალს და ეს არის მისაღები „თუკი ამას მოითხოვს საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის ინტერესები“. არსებობს ერთგვარი ნდობის მომენტი მხარეთა "სურვილის ავტონომიურობის" მიმართ, ანუ როცა ხდება ავტონომიურობის პრინციპის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რაიმე სახის კავშირი რომელიმე სამართლებრივ სისტემასთან, ვინაიდან ხდება იმ აზრის განვრცობა, რომ კონტრაქტი წარმოადგენს მხარეთა კანონმდებლობას, და არ არსებობს სხვა სამართლებრივი სისტემის საჭიროება. მხარეთა ავტონომიის, როგორც

კანონმდებლობის არჩევის საკითხის პრობლემის მოგვარების აღიარება, წარმოადგენს თანამედროვე კოლიზიური თეორიის ერთ-ერთ დიდ წარმატებას.

ამერიკის სასამართლოებმა დროთა განმავლობაში დაუჭირეს მხარი მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს. კანონმდებლობის არჩევის თეორიის გამოყენებამ ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებებში გადააჭარბა კანონმდებლობის არჩევის პრინციპების მნიშვნელობას. ეს პრინციპები ქეისს განსაზღვრავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლოები ინსტიტუტურად გრძნობენ, რომ სამართლიანობა საჭიროებს კონკრეტული სახელმწიფოს/შტატის კანონმდებლობის გამოყენებას. კანონმდებლობის არჩევის ქეისების უმეტესობაში ინსტიტუტური შეგრძნებებით სამართლიანობის პრობლემა არ გადაიჭრება. ჩვეულებრივი, კანონმდებლობის არჩევის შემთხვევებში, კანონმდებლობის არჩევანს ყურადღება ენიჭება მხოლოდ მას შემდეგ რაც სახეზეა მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც გამომდინარეობს კონკურირებადი ნორმებიდან და ამგვარი ნორმების ზეგავლენით შესაძლოა პროცედურულ მიმდინარეობა და მოლაპარაკებები გართულდეს.

კაზუსი - VITA FOOD PRODUCTS INC. UNUS SHIPPING CO. LTD -ის წინააღმდეგ

წყარო - J.Shilpa Sinh & Estheri Boro, Choice of law in private international law & international contracts, p.11

R. v. International Trustee, [1937] A.C. 500 -ზე ლორდთა პალატის გადაწყვეტილება და Rivy Council in Mount Albert BoroFugh Council v. Australasian Temperance Society, [1938] A.C. 224-ის გადაწყვეტილება წარმოადგენს ქვაკუთხედს კონტრაქტებში კანონმდებლობის არჩევის კოლიზიის ნორმების სისტემატიზაციის გზაზე. მათ გადააჭარბეს კიდევ თავიანთი მნიშვნელობით ბოლო პერიოდის Privacy Council-ის გადაწყვეტილებას Vita Food Products Inc. v. Unus Shipping Co. Ltd., [1939] I All E.R. 513.-ზე. ეს ქეისი ითვლება უმნიშვნელოვანესად ამ მიმართულებით, რომელიც სასამართლოებმა განიხილეს კარგა ხნის წინ და მას აგრეთვე უდიდესი კომერციული

მნიშვნელობა გააჩნია. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა Privy Council, როგორც ნოვა სკოტიას პროვინციის უმაღლესი სასამართლოს მიერ. და მიუხედავად ამისა, ექვი არ არის, რომ მას კვლავაც ფუნდამენტური ზეგავლენა აქვს ინგლისის კერძო საერთაშორისო სამართალზე.

ამ კაზუსის ფაქტობრივი მდგომარეობა შემდეგნაირია: მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა კომპანია, დაფუძნებული ნოვა სკოტიას კანონმდებლობის მიხედვით. მათ საკუთრებაში იყო ხომალდი, რომელიც დატვირთული იყო ქაშაყით და მიემგზავრებოდა ნიუფაუნდლენდიდან მოსარჩელების მიმართულებით, ეს კი გახლდათ კომპანია, დაფუძნებული ნიუ-იორკში. მოსარჩელები ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში იყვნენ ამ ტვირთის მესაკუთრეები და კონოსამენტის მფლობელები, რომელიც მომზადებულ იქნა მოპასუხეთა სახელზე ნიუფაუნდლენდში. ისინი უჩიოდნენ მოპასუხეებს მიყენებული ზიანის გამო იმ საფუძვლით, რომ ტვირთი დაზიანდა ტრანსპორტირების დროს მეთვალყურის დაუდევრობის გამო. კონოსამენტები შეიცავდა მუხლს, რომელიც ათავისუფლებდა გემის მესაკუთრეებს პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, როცა დანაკარგი დადგებოდა მათი ქვეშევრდომების დაუდევრობის შედეგად. კონოსამენტებში აგრეთვე შეტანილი იყო დებულება, რომლის თანახმადაც, მათი წესები და პირობები, ასევე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წესი უნდა დაქვემდებარებოდა კანადის, წყლით ტვირთის გადაზიდვის აქტს, 1910-ს და სპეციალურად იქნა ინკორპორირებული ამ აქტის მუხლი, რომლის მიხედვითაც უკანონოდ, ბათილად და გაუქმებულად ითვლებოდა ნებისმიერი მუხლი, რომელიც გემის მესაკუთრეს პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა, გარდა თავად ამ აქტით დადგენილი შემთხვევებისა. და ბოლოს, კონოსამენტები ცხადად მიუთითებდა, რომ "კონტრაქტი უნდა დარეგულირდეს ინგლისური სამართლით". 1932 წელს ნიუფაუნდლენდში ძალაში შევიდა საზღვაო აქტი, რომლითაც ტვირთის გადაზიდვა დარეგულირდა და რომელიც მოიცავს ჰააგის ნორმებს გრაფიკულად და პრაქტიკულად იდენტურია 1924

წლის ინგლისური ტვირთის გადაზიდვის საზღვაო აქტისა. აქტის მე-3 თავი, ისევე როგორც ინგლისური აქტის ანალოგიური თავი, განსაზღვრავს, რომ ნებისმიერი კონოსამენტი, ან მსგავსი სამართლებრივი დოკუმენტი, გაცემული ნიუფაუნდლენდში, რომელიც მოიცავს კონტრაქტს, რომელსაც მიემართება (ჰააგის) ნორმები, აგრეთვე უნდა შეიცავდეს აშკარა მითითებას იმაზე, რომ იგი ძალაშია ნორმათა დაცვის საფუძველზე. როდესაც მოპასუხეთა მხრიდან მომზადებულ იქნა კონოსამენტები, დაუდევრად მოხდა ძველი ბლანკების გამოყენება, სადაც არ ყოფილა მითითება ჰააგის ნორმებზე.

მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ კონოსამენტები, ვინაიდან არ შეესაბამებოდა ნიუფაუნდლენდის 1932 წლის აქტის მე-3 თავის დებულებებს, უკანონო იყო ნიუფაუნდლენდის კანონმდებლობის მიხედვით და ამ საფუძველით, კონოსამენტებში მითითებული დათქმა ვერ იმოქმედებდა მოპასუხეთა სასარგებლოდ. ნოვა სკოტიას სასამართლოებმა უარყვეს ეს მტკიცება და გადაწყვეტილება მოპასუხეთა სასარგებლოდ მიიღეს. ლორდმა რაიტმა გამოიტანა გადაწყვეტილება და განმარტა კერძო საერთაშორისო სამართლის რამდენიმე ყველაზე ფუნდამენტური პრობლემა.

პირველ რიგში გადაწყვეტილ უნდა იქნას შემდეგი საკითხი: რა იყო კონტრაქტის სათანადო კანონმდებლობა? მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონტრაქტი უნდა დარეგულირებულიყო ინგლისური სამართლით. მიუხედავად ამისა, არ არსებობდა ცხადი კავშირი კონტრაქტის საგანსა და ინგლისს შორის. საკმაოდ წინააღმდეგობრივია საკითხი იმასთან დაკავშირებით, თავისუფალნი არიან თუ არა საერთაშორისო კონტრაქტის მხარეები, შეარჩიონ ის განსახილველი სამართალი/კანონმდებლობა, რომელიც მათ სურთ, თუ უნდა არსებობდეს "რეალური კავშირი" კონტრაქტის შინაარსსა და შერჩეულ კანონმდებლობას შორის. ამ შეკითხვას ლორდი რაიტი ცალსახა პასუხს სცემს. ნოვა სკოტიას კერძო საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ინგლისური

კანონმდებლობის იდენტური, მხარეთა "ავტონომია" შეზღუდული არ არის, რაც მინიმუმ იმ თავისუფლებას ანიჭებთ, რომ ინგლისური კანონმდებლობა სათანადო კანონმდებლობად აირჩიონ.

მართალია, აუცილებელი არ არის, რომ შერჩეულ კანონმდებლობასა და თავად კონტრაქტს შორის რეალური კავშირი არსებობდეს, მხარეთა "ავტონომია" აბსოლუტურად შეუზღუდავი მაინც ვერ იქნება. ლორდი რაიტი ორ შესაძლო შეზღუდვას ახსენებს. პირველი გულისხმობს იმას, რომ გამოხატული სურვილი უნდა იყოს bona fide და კანონიერი, მეორე კი იმას, რომ "არ უნდა მოხდეს კანონმდებლობის არჩევა სახელმწიფო/საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფუძველზე". ეს ორი შეზღუდვა საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველი შერჩევის აქტს უკავშირდება, მეორე კი იმ შედეგს, სადამდეც ამ არჩევანს მივყავართ. თუ კანონმდებლობის არჩევას ყურადღება არ ექცევა, რადგან ის არ იყო bona fide და კანონიერი, სასამართლო უარს იტყვის უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაზე არა იმ საფუძველით, რომ ის რაიმე ფორმით არასასურველია, არამედ იმიტომ, რომ მხარეებმა უცხო ქვეყნის კანონმდებლობა უკანონო გზად აირჩიეს. ამ განმარტებას, როგორც ჩანს, პირველად შემოაქვს ინგლისურ კანონმდებლობაში ფრანგული გაგება fraude á la loi, პრინციპი, რომლის თანახმადაც, თუკი არსებობს ქეისის ირგვლივ არსებული ფაქტები, რომლებიც სამართლის სისტემასთან კავშირშია თავის არიდების კუთხით, მაშინ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება არ მოხდება. სამაგიეროდ, მეორე კვალიფიკაცია, რომელიც ლორდმა რაიტმა წარმოადგინა, საჯარო წესრიგის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპია. უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც სრულიად წინააღმდეგობაში მოდის ინგლისის სასამართლოსთან, ამ ქვეყანაში გამოყენებული არ იქნება. შესაბამისად, ამ ორი კვალიფიკაციიდან პირველი შესაძლოა სასამართლოსთვის გახდეს ინგლისური სამართლის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი, თუკი ინგლისურ სამართალზე არჩევანის გაკეთება მოხდა mala fide, მაგრამ მეორე შეზღუდვა ვერც ერთ შემთხვევაში

ვერ იმოქმედებს, თუკი მხარეთა მიერ შერჩეული კანონმდებლობა თავად ინგლისური სამართალია.

მეორე საკითხი ეხებოდა კონოსამენტს. კონოსამენტებში, რომლებიც ამ ფორმით მხარეთა მიერ წარდგენილ იქნა ინგლისური კანონმდებლობისთვის, ნახსენები იყო კანადის წყლით ტვირთის გადაზიდვის აქტი და მოსარჩელების მიერ გაცხადებულ იქნა, რომ ეს წარმოადგენდა კანადის კანონმდებლობაზე მიმართებას, რაც აბათილებდა კონტრაქტისთვის ინგლისური სამართლის, როგორც სათანადო კანონმდებლობის შერჩევის ფაქტს. ლორდმა რაიტმა არ მიიღო ეს მტკიცება. ის განმარტავს განსხვავებას უცხო ქვეყნის სამართლის სისტემაზე მიმართებასა და კონტრაქტში უცხო ქვეყნის სისტემის დებულების ან დებულების გაწერას. როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო კონტრაქტის მხარეები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ უცხო ქვეყნის კანონი, როგორც თავიანთი კონტრაქტის ერთ-ერთი ნორმა. ნაცვლად იმისა, რომ სრულად გადმოიტანონ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მთელი ტექსტი, მათ შესაძლოა ახსენონ მხოლოდ ამ კანონის დებულებები და ამ შემთხვევაში ეს იგივე იქნება რაც შემთხვევა, მათ რომ თავიანთ შეთანხმებაში ვერბალურად გადაეტანათ ხსენებული კანონმდებლობის დებულებები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის ცალკეული დებულებებიც გამოყენებულ იქნა კონტრაქტში, წარმოადგენს ამ კონტრაქტის სათანადო კანონმდებლობას. არსებულ ქეისში მხარეებს არ დაუდასტურებიათ კანადის კანონმდებლობის არჩევის ფაქტი. თუმცა, კონტრაქტში ჩართული იყო ერთ-ერთი კანადური სამართლებრივი აქტი - წყლით ტვირთის გადაზიდვის აქტი. როდესაც აღნიშნული საქმე ნოვა სკოტიას სასამართლოების მიერ განიხილებოდა, კანადის წყლით ტვირთის გადაზიდვის აქტი გაუქმებული იყო. ნორმა, რომლის მიხედვითაც მხარეებს შეეძლოთ თავიანთ კონტრაქტში გაეწერათ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის დებულებები, ლორდი რაიტის მიერ მიჩნეულ იქნა ინგლისის კერძო საერთაშორისო კანონმდებლობის ნორმად.

ამგვარად, ამკარა გახდა, რომ ინგლისური სამართალი არეგულირებდა კონტრაქტს. თუმცა, პასუხგაუცემელი რჩებოდა შეკითხვა, აბათილებდა თუ არა ნიუფაუნდლენდის კანონმდებლობა იმ საფუძველით, რომ ის ცხადად არ აკეთებდა მითითებას ჰააგის ნორმებზე და თუ ასე იყო, შესაძლებელი იყო თუ არა lex loci contractus-ით გამოწვეულ უკანონობას ემოქმედა იმ კონტრაქტის კანონიერებაზე, რომელიც შეესაბამებოდა სათანადო კანონმდებლობად, გარდა lex loci კონტრაქტისა.

საბოლოოდ, მოქმედებაში მოვიდა ინგლისური სამართლის სათანადო კანონმდებლობის თეორია. როგორც კი მხარეებმა - პირდაპირ გამოხატეს ეს თუ იგულისხმეს - შეარჩიეს გამოსაყენებელი სამართალი თავიანთი ქეისისთვის, ადარ აქვს მნიშვნელობა, სად დაიდო კონტრაქტი და სად აღსრულდა იგი. ინგლისური კანონმდებლობის "ავტონომიურობის" პრინციპი ამ მომენტში ემთხვევა ფრანგული და სხვა კონტინენტური სისტემის ქვეყნების პრინციპებს. ეს ვრცელდება აგრეთვე თავად კონტრაქტის ფორმირების საკითხზე. ამ ქვეყანაში არასოდეს დადგენილა, თუ რომელი კანონი განსაზღვრავს კონტრაქტის ოფერტის და აქცეპტის შედეგებს. ლორდი რაიტი თვლის, რომ ეს საკითხიც სათანადო კანონმდებლობის მიხედვით უნდა გადაწყდეს და არა იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც კონტრაქტი დაიდო. "შესაძლოა არსებობდეს შეკითხვები პირობების შეუსრულებლობიდან გამომდინარე შედეგებზეც ცალკეულ შემთხვევებში, რომლებიც, იმ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც კონტრაქტი დაიდო, კონტრაქტის არსებითი შემადგენელი ნაწილია, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი კონტრაქტის ვალიდურობა შესაძლოა დამოკიდებული იყოს მის სათანადო კანონმდებლობაზე.

III. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და პერსპექტივები

როგორც უკვე აღვნიშნე, მხარეთა ნების ავტონომიის თავისუფლება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი საფუძველია. აღნიშნული პოზიციის ჩამოყალიბებას დასაბამი მე-20 საუკუნიდან დაედო, რაც გამოწვეული იყო

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებით, განსაკუთრებით კი ევროპაში, რაც კერძო საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების განვითარების შემდგომი საფუძველი გახდა. არა მხოლოდ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის, არამედ, ზოგადად კონტინენტური ქვეყნების კანონმდებლობისათვის, მხარეთა ნების ავტონომია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მოწესრიგება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.²⁴

„ერთიანი ევროპული ბაზრის“ იდეის ჩამოყალიბებასთან ერთად, ევროპული სამართალმცოდნეების დიდი ნაწილის სურვილი წევრი ქვეყნებისათვის საერთო საკანონმდებლო ბაზის არსებობა იყო. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და დღესაც ასრულებს ევროკავშირის მიერ შემოშავებული დირექტივები და რეგულაციები, რომლებიც ხელს უწყობენ განსახვავებული სამართლებრივი სისტემების დაახლოებას ევროკავშირის შიგნით და ზოგადად საერთო, ევროპული საზოგადოებრივი ფასეულობების ჩამოყალიბებას.²⁵

საფრანგეთი კანონმდებლობით დარეგულირებულია მხარეთა ნების ავტონომია და ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს აქვს შესაძლებლობა გახდეს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარე. მე-20]საუკუნეში საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში საკანონმდებლო რეგულირება ჩაითვალა მზარდი კაპიტალიზმის ლიბერალური აზროვნების ნაყოფად. იგი გამოხატავდა წარმოდგენებს, რომელთა თანახმად გონივრულად მოქმედ ადამიანს შეუძლია თავად, მოძველებული ფეოდალური, პოლიტიკური ან რელიგიური შეზღუდვების და წესებისაგან დამოუკიდებლად განაგოს საკუთარი ბედი, მინიჭებული აქვს სრული თავისუფლება საკუთარი არსებობისათვის და

²⁴ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი 2017, გვ.37

²⁵ ჰარტკამპი ა., სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2009-2010, გვ.183

საკუთარ მოქმედებებზე თავადვეა პასუხისმგებელი. შესაბამისად საფრანგეთში საჭირო გახდა შექმნილიყო ასეთი ინდივიდებისათვის იმგვარი ჩარჩოები, რომ მათ სხვა პირებთან ნების თავისუფლების გამოვლენის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებით გადაეწყვიტათ, იღებდნენ თუ არა თავის თავზე კანონით აღიარებულ პასუხისმგებლობას მოცემული ან მესამე პირების წინაშე და რა მოცულობით.²⁶ ზემოთქმული ცხადყოფს მხოლოდ, ერთს, საფრანგეთის კანონმდებლობა ლიბერალურია მხარეების მიმართ, რომლებიც ცდილობენ საკუთარი სურვილების და მისწრაფებები გააფორმონ წერილობითი ფორმით. დღეს მოქმედი საფრანგეთის კანონმდებლობით თითოეული მოქალაქე უფლებამოსილია იყოს საზოგადოების წევრი, დადოს ხელშეკრულებები თავისი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს მისი შინაარსი სახელმწიფოსგან ჩაურევლად.

საფრანგეთში მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი აშკარად იქნა ცნობილი საკასაციო სასამართლოს მიერ 1910 წელს, სადაც განცხადებულ იქნა: „ხელშეკრულების დადების, მისი ნამდვილობის და შინაარსის მომწესრიგებელი სამართალი არის ის სამართალი, რომელიც მხარეებმა აირჩიეს.²⁷ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს თითქმის იმგვარად აწესრიგებს, როგორც ეს წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, ეს რა თქმა უნდა პოზიტიურად უნდა ჩავთვალოთ, გამომდინარე იქედან, რომ როგორც საფრანგეთი ასევე გერმანია წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ სივრცეს, კანონმდებლობის დახვეწილობის მხრივ კი გერმანი ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა ევროპის ფარგლებში. გერმანიის სკსკ-ს 27-ე პირველი მუხლით გათვალისწინებულია ასეთი შესაძლებლობა: „მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ სამართალი როგორც მთლიანად ხელშეკრულებების მიმართ, ასევე ხელშეკრულების

²⁶ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი 2, ჯისიაი,თბილისი, 2001, გვ.8

²⁷ იოსელიანი ა., მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.23

რომელი ნაწილის მიმართ“. გერმანიის კანონმდებლობა კიდევ უფრო შორს მიდის, კერძოდ 27-ე მეორე მუხლის მიხედვით „მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეთანხმდნენ, რათა ხელშეკრულების მიმართ გამოყენებულ იქნეს სხვა სამართალი, ვიდრე ის, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა ადრე არსებული სამართლის არჩევის ძალით ან წინამდებარე მუხლის სხვა ნორმით“.²⁸

საერთო სამართლის ჭრილში საკითხის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ინგლისისა და აშშ-ს მაგალითი უნდა მოვიყვანოთ, სწორედ ინგლისის სამართლის სისტემას ეფუძნება აშშ-ში ხელშეკრულების თავისუფლების განვითარებას. დროთა განმავლობაში აშშ-ს სასამართლოებმა მხარი დაუჭირეს ნების ავტონომიის პრინციპს. როგორც წესი, შეერთებული შტატების სასამართლოები სიტყვა „სამართალს“ განმარტავენ, როგორც შერჩეული იურისდიქციის შიდა კანონმდებლობას (გარდა იურისდიქციათა შორის კოლიზიის მარეგულირებელი წესებისა) და არა შერჩეული იურისდიქციის მთელ კანონმდებლობას (მათ შორის იურისდიქციათა შორის კოლიზიის მარეგულირებელ წესებს). ეს განმარტებითი წესი უაღრესად სენსიტიურია. მაშინ როცა კანონმდებლობის შერჩევის მუხლის მთელი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მინიმალური იქნას სამართლებრივი ბუნდოვანება, ამ შემთხვევაში მოხდება იმ მიზნის უგულებელყოფა, რაც გულისხმობს მუხლის იმგვარად ინტერპრეტირებას, რომ მითითება მოხდეს შერჩეული იურისდიქციის იურისდიქციათა შორის კოლიზიის მარეგულირებელ წესებზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს სხვა იურისდიქციის სამართლის არჩევას.²⁹ პირველი ქვეყანა კი სადაც ცნობილი იქნა მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, როგორც საკოლიზიოსამართლებრივი ბუნების მქონე ინსტიტუტისა იყო ინგლისი. მიუხედავად მხარეთა ნების ავტონომიის მიმართ ინგლისის სამართლის დადებითი დამოკიდებულებებისა, რომელიც უცხო სამართლის სარჩევაში ვლინდება,

²⁸ https://e-justice.europa.eu/content_which_law_will_apply-340-de-en.do?member=1#toc_1_1

²⁹ Coyle J., Interpreting choice of law clauses, p.2

თავდაპირველად სასამართლოების წინააღმდეგი იყვნენ lex mercatoria-ს ცნობისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობით, დღესდღეობისთ დარეგულირებული აღნიშნული საკითხი.

საბჭოთა კავშირის დაარსების პირველივე წლებში ქვეყანაში ჩამოყალიბდა ცენტრალიზებულად მართული ე.წ. გეგმიური ეკონომიკა. საბჭოთა კავშირის დროს ეკონომიკის განვითარება თავისუფალი ბაზრის განვითარებას კი არა, კონკრეტული გეგმების შესრულებას ეფუძნებოდა, ნათელი ხდება ის, რომ სწორედ ეს გეგმები ხდებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფუნქციი მატარებელი და არა მხარეთა თავისუფალი ნება, დაედოთ მათთვის სასურველი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი გარიგებები. მხარეთა ნების ავტონომია ისეთი სახით, როგორითაც ეს სამართლებრივი ინსტიტუტი დღევანდელ რეალობაში გვხვდება, საბჭოთა კავშირის დრო აკრძალული იყო.

დღესდღეობით აღსანიშნავია, რომ საკოლიზიო სახელშეკრულებო სამართალთან დაკავშირებით საქართველოს მწირი სასამართლო პრაქტიკა აქვს, ეს განპირობებული შესაძლოა იყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით, პირველი მას შემდეგ რაც ქვეყანამ აღადგინდა დამოუკიდებლობა სახელმწიფოში არ არის შექმნილი შესაბამისი საინვესტიციო გარემო და უცხოელ კონტრაქტებს არ აქვთ ნდობა ქართული სასამართლოების მიმართ და მათი მოთხოვნით დავის არსებობის შემთხვევაში საქმე საერთაშორისო არბიტრაჟმა უნდა განიხილოს. მაგალითი პირველი: 1999 წლის 11 ივნისს საქართველოს ინვალიდთა სპორტის ფედერაციას და შვეიცარიულ კომპანია „მეისფილდ“ ა.გ.-ს შორის დაიდო ხელშეკრულება , რომლის ძალითაც ამ უკანასკნელს ქართული მხარისთვის უნდა მიეწოდებინა ბენზინი ფოთი პორტში. მხარეებმა ხელშეკრულების მე-15 მუხლში გააკეთეს დათქმა, რომლის ძალითაც გარიგებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო ინგლისის სამართლის მიხედვით ლონდონის არბიტრაჟში. 200 წლის 6 იანვარს

არბიტრ მაკენზის ერთპიროვნულად, ინგლისის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მოპასუხე (ქართულ) მხარეს დაეკისრა მოსარჩელეს სასარგებლოდ თანხის გადახდა.³⁰

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სკსკ-ის 35-ე მუხლის მიხედვით აღიარებული მხარეთა ნების ავტონომია, თუმცა კანონი საჭიროებს გარკვეულ ცვლილებს, რათა მოხდეს თითოეული ნორმის კიდევ უფრო დაახლოება განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასთან და სიღრმისეულად იყოს გარანტირებული მხარეთა უფლება აირჩიონ მათთვის სასურველი ხელშეკრულების მომწესრიგებელი კანონმდებლობა. როგორც ცნობილია კანონით არ არის გათვალისწინებული თუ რა ფორმით ხდება სასურველი მომწესრიგებელი სამართლის არჩევა, რაც შესაძლოა სამომავლოდ გახდეს მხარეთა შორის გარკვეული გაუგებრობის საფუძველი. ამ შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს ხელშეკრულების დეტალური შესწავლა და გარკვეული ფაქტორების გამოვლენა, რაც იქნება ძლიერი პრეზუმციის გარანტი, თუ რომელი ქვეყნის სამართლებრივი ნორმების საფუძველზე შეადგინეს მხარეებმა ხელშეკრულება.

სკსკ-ის კანონის 35-ე მუხლით გარანტირებულია მხარეთა ნების ავტონომია, თუმცა როგორც ზემოთაღვნიშნეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით დარეგულირებულია ის საკითხი, რომ კონტრაქტებს შეუძლიათ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების მოსაწესრიგებლად აირჩიონ ორი ან მეტი ქვეყნის სამართალი. შესაძლოა სასურველი შეიძლება არ იყოს, რომ ხელშეკრულების მოსაწესრიგებლად გამოყენებული იყოს ორი სხვადასხვა ქვეყნის სამართალი და ამ გარემოებამ გარკვეული გაუგებრობა წარმოშვას დავის არსებობის შემთხვევაში, თუმცა თუ ქართული კანონმდებლობა აღაირებს მხარეთა ნების ავტონომიას და აძლევს საშუალებს მხარეებს შეთანხმების საფუძველზე აირჩიონ მათთვის

³⁰ იოსელიანი ა., მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.26

სასურველი კანონმდებლობა მაშინ ცხადია, რომ ეს უფლება კანონმდებლობით ბოლომდე და სრულყოფილად უნდა იყოს გარანტირებულია. შესაბამისად, სასურველია, რომ კანონში შევიდეს ცვლილება და კონტრაქტებს ჰქონდეთ არჩევანის სრულყოფილი შესაძლებლობა, რამდენად რეალიზდება სახელშეკრულებო ურთიერთობებში ეს უკვე ცვლილების შემდგომი პროცესია.

აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ უკვე არჩეული სამართლის შეცვლას სხვა ახალი სამართლის სისტემით, თუმცა ევროპული კანონმდებლობა ამ ნაწილში უფრო ნათელია და პასუხობს მთავარ შეკითხვას როდის შეუძლით მხარეებს შეცვალონ მათ მიერ ერთხელ უკვე არჩეული სამართალი? ან რა ფორმით უნდა მოხდეს არჩეული სამართლის ცვლილება? მიუხედავად მწირე სასამართლო პრაქტიკისა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებობს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება არჩეული სამართლის ცვლილებას სხვა ქვეყნის სამართლით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ ხელშეკრულების რეგულირდებოდა ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით, თუმცა დავის პროცესში ორივე მხარე თავის მოთხოვნებს ამყარებდა ქართულ კანონმდებლობაზე, შესაბამისად სასამართლომ იხელმძღვანელა ქართული კანონმდებლობით და მიიჩნია, რომ მხარეთა ეს ქმედება იყო არჩეული სამართლებრივი სისტემის სხვა სამართლებრივი სისტემით ჩანაცვლების საფუძველი. სასამართლოების ამ შემთხვევაში დამატებით კითხვას არ სვამენ ნამდვილად სურთ თუ არა მხარეებს არჩეული სამართლის ჩანაცვლა, ვინაიდან სასამართლო თავიანთ გადაწყვეტილებას *lex fori*-ს გამოყენების სასარგებლოდ ასაბუთებენ მხარეთ ჰიპოთეზურ ნებაზე დაყრდნობით.

მიმაჩნია, რომ კანონმდებლობაში გაწერილი უნდა იყოს, თუ რა ეტაპზე შეუძლით მხარეებს სამართლებრივი სისტემის ცვლილების თაობაზე მოთხოვნა, ვინაიდან

აღნიშნული ჩანაწერი იმ მხარისთვის, რომელსაც არ აქვს შესაბამისი იურიდიული გამოცდილება ბუნდოვანი და გაუგებარი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ევროპული კანონმდებლობა მხარეებს აძლევს საშუალებას არჩეული სამართლის სისტემის ცვლილებაზე თუმცა არსებობს დათქმა, რომ არ უნდა მოხდეს მესამე პირთა უფლებების ხელყოფა ხელშეკრულების დადების შემდეგ გამოსაყენებელი სამართლის ნორმების შეცვლის შედეგად. ასევე დაცული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმალური ნამდვილობის საკითხი, ვინაიდან მხარეთა მიერ მოგვიანებით არჩეული სამართალი შესაძლოა ითვალისწინებდეს ისეთ ფორმალურ მოთხოვნებს, რაც უცნობი იყო წინა სამართლისათვის და რამაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი.

ქართული კანონმდებლობის დახვეწის მიზნით და მხარეთა ნების ავტონომიის სრულყოფილად აღიარების თვალსაზრისით სასურველია სამომავლო პერსპექტივად განხილი იქნეს ზემოთ აღნიშნული საკითხები და მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება.

თავი III. ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართალი, როდესაც იგი მხარეებს არ აურჩევიათ

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ხასიათის კომერციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სულ უფრო მეტად შეინიშნება ტენდენცია, რომ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები წიასახელშეკრულები მოლაპარაკების პროცესში ირჩევენ მათთვის სასურველ სამართლის სისტემას, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს კონკრეტული გარიგება, თუმცა პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მხარეებს არ აქვთ შესაბამისი ფორმით გაკეთებული დათქმა ხელშეკრულების მომწესრიგებელი სასურველი სამართლის სისტემის არჩევის თაობაზე. აღნიშნული დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორთან და მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის გარიგების შემთხვევაში, სწორედ აღნიშნულ თავში იქნება განხილული საკითხი თუ რომელი

ქვეყნის სამართალი უნდა გამოვიყენოთ გარიგებების მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი, ან თუმცა აირჩიეს, მაგრამ ასეთი არჩევანი ბათილია კანონით გათვალისწინებული საფუძვლით.

საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესაძლებელია, რომ მხარეებს ან გამორჩეთ, ან შეგნებულად არ აირჩიონ ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი. ამ შემთხვევაში, როგორც წესი გამოიყენება იმ ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლებსაც მიეკუთვნებიან ხელშეკრულების მხარეები. ევროპის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებით არ განსაზღვრავენ გამოსაყენებელ სამართალს, მაშინ ითვალისწინებს აღნიშნულ სახელშეკრულებო ურთიერთობებთან ყველაზე უფრო მჭიდროდ დაკავშირებულ სამართლის პრინციპს და მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავს კოლიზიური ნორმის უკუ-და შემდგომი მითითების პრინციპის გამოყენებას. სამართლებრივ ურთიერთობასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი წარმოადგენს თანამედროვე სკს-ში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიმაგრების ფორმულას. მსგავს მიდგომას ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, რომლის მიხედვითაც, „თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთა ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს“. მაგრამ თავისთავად „სამართლებრივ ურთიერთობასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი“ არის ბუნდოვანი ცნება, რადგან შესაძლებელია, რომ ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეები სხვადასხვაგვარად მიიჩნევენ ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამართალს. ამიტომ აღნიშნული მიმაგრების ფორმულა მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას და ყოველი კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის შესაბამისი კრიტერიუმების მოძიებას.

ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებისას ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლად მიიჩნევა სხვადასხვა მიმაგრების ფორმულები. ასე მაგალითად, ჩინური სკს-ის მიხედვით, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში ყველაზე უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლად მიიჩნევა ხელშეკრულების დადების დროს გამყიდველი მხარის საწარმოს ადგილსამყოფელი სამართალი. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადება მოხდება მყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელში, ანდა თუ ხელშეკრულებიდან ნათლას სჩანს, გამყიდველი მისი ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან განადგურების პასუხისმგებლობას იხსნის მყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელიდან, მაშინ, მჭიდროდ დაკავშირებულ სამართლად მიიჩნევა მყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელი. საბანკო კრედიტთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დროს კი ამ ურთიერთობებთან ყველაზე უფრო მჭიდროდ დაკავშირებულ სამართლად მიიჩნევა კომერციული ბანკის ადგილსამყოფელი, საიდანაც მოხდა საბანკო კრედიტის გაცემა. მსგავსი სხვადასხვაგვარი მიდგომებით ხასიათდება ქართული სკს-ის. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების მიხედვით „ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ან ადმინისტრაციის რეზიდენცია“.

მთავარი ის კი არაა, რომ ხელშეკრულება ამა თუ იმ ქვეყანასთან იყოს დაკავშირებული, არამედ მთავარია, ხელშეკრულება ყველაზე მნიშვნელოვნად იყოს დაკავშირებული რომელიმე ქვეყანასთან. აქ იგულისხმება ისეთი „დაკავშირებული“ ფაქტობრივი გარემოება, რომლის უკანაც დგას იმ ქვეყნის მატერიალური სამართლის სოციალური პოლიტიკა, რომლის ინტერესებსც ყველაზე მეტად ეხება ხელშეკრულება. ევროპის განვითარებული ქვეყნების (ინგლისი, გერმანია,

საფრანგეთი) სასამართლოები პარალელურად მოძრაობდნენ ერთი მიმართულებით და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხარეთა ჰიპოტეზური განზრახვის „დადგენა“ არ უნდა გულისხმობდეს მხარეთა ემპირიული ნების დადგენას, იგი უნდა იყოს „ხელშეკრულების ეკონომიკური მიზნის“ დადგენა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, თუ რას მოიმოქმედებდნენ სათანადოდ ინფორმირებული კონტრაქტები, როგორც ტიპური ბიზნესმენები, თუკი მხედველობაში მიიღებდნენ ხელშეკრულების ბუნებას. მოკლედ, სუბიექტური თეორიის „გაობიექტურება“ იწვევს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის გამოყენების კონცეფციის აღიარებას.³¹

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვაგვარად რეგულირდება სამართლის არჩევის საკითხი თითოეულ ხელშეკრულებებთან მიმართებით. გასხვავებებისა და პრობლემური საკითხების უკეთ წარმოსაჩენად შემდგომ თავში განვიხილავ სამართლის გამოყენების საკითხს რამდენიმე სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და ვიმსჯელებ თუ რა სირთულის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ხელშეკრულების მხარეები თუ მათ მიერ არ მომხდა შეთანხმება მომწესრიგებელი სამართლის საკითხის თაობაზე.

I. მომწესრიგებელი სამართლის დადგენა საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში

როგორც წინა თავში აღვნიშნე ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შეუძლიათ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში აღიარებული „მხარეთა ნების ავტონომიის“ პრინციპზე დაყრდნობით უარი თქვან ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაზე და მთლიანად, ან ნაწილობრივ დაუქვემდებარონ

³¹ იოსელიანი ა., მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.133

ხელშეკრულება მათ მიერ არჩეული ქვეყნის სამართალს. აღნიშნულ შესაძლებლობას განამტკიცებს გაეროს ვენის 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათ შესახებ“ (Convention on the International Sale of Goods – CISG). იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა არ ისარგებლეს „მხარეთა ნების ავტონომიის“ პრინციპით და თავად არ აირჩიეს გამოსაყენებელი სამართალი, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულების მიმართ ავტონომიურად უნდა იმოქმედოს გაეროს ვენის 1980 წლის ზემოაღნიშნულმა კონვენციამ. გაეროს კონვენციას თანამედროვე საერთაშორისო ნასყიდობის სამართალში უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. კონვენციის პირველივე მუხლი განსაზღვრავს მისი გამოყენების სფეროს, კერძოდ, „კონვენცია გამოიყენება საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიმართ იმ მხარეთა შორის, რომელთა კომერციული საქარმოებიც სხვადასხვა სახელმწიფოში იმყოფებიან:

ა) როდესაც ეს სახელმწიფოები ხელშემკვრელი მხარეები არიან, ან

ბ) როდესაც საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების თანახმად, გამოყენებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოს სამართალი.

აღნიშნულ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება ის გარემოება, რომ მხარეთა კომერციული საქარმოები (ქარხნები, ფაბრიკები) იმყოფებიან სხვადასხვა სახელმწიფოში, თუ ეს არ გამომდინარეობს არც ხელშეკრულებიდან და არც მხარეთა შორის საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე ხელშეკრულების დადებამდე, ან დადების მომენტში, აგრეთვე ინფორმაციის გაცვლის მომენტში. გარდა ამისა, მხედველობაში არ მიიღება არც მხარეთა ეროვნული კუთვნილება, მათი მოქალაქეობრივი, ან სავაჭრო სტატუსი, ანდა ხელშეკრულების სავაჭრო ხასიათი.

ყოველ საერთაშორისო ნასყიდობის გარიგებას, დადებულს საერთაშორისო სავაჭრო ან სხვა ორგანიზაციის მიერ უცხოელ კონტრაგენტთან აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ეროვნული სამართლის ნორმების არსებული

სხვაობებისა და სამართლის განსაზღვრის სირთულის გამო პარტნიორები ცდილობენ რაც შეიძლება დეტალურად ჩამოაყალიბონ თავიანთი ურთიერთობები კონტრაქტში. აღნიშნულ ურთიერთობათა გათვალისწინებით აიხსნება საერთაშორისო ვაჭრობაში უნიფიცირებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შექმნის ტენდენცია. გაეროს 1966 წლის 17 დეკემბრის N2205 რეზოლუციით განცალკავებით აღინიშნა, რომ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში არსებული სხვაობები და შეუთანხმებლობა საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში წარმოადგენს ერთ-ერთ დაბრკოლებას მისი განვითარების გზაზე.³²

აღნიშნული კონვენცია უნივერსალური ხასიათისაა და მისი ნორმები დისპოზიციურია, მაგრამ, თუ ხელშეკრულებაში არ იქნება მითითებული მხარეთა ურთიერთობის რეგულირების სხვა მექანიზმზე შეთანხმების შესახებ, მაშინ შესაბამისი ურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ეს კონვენცია, რომელიც შეიცვას პასუხებს საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა ძირითად საკითხზე.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძოს სამართლის შესახებ“. კერძოდ, კანონის ის მუხლები, რომლებიც ჩვენი საუბრის თემას შეეხება. მაშინ როდესაც, მხარეები სხვა ქვეყნის სამართლისგან დამოუკიდებლად თავად განსაზღვრავენ ხელშეკრულების პირობებს, ე.ი. არ ირჩევენ კონკრეტულ სამართალს, კანონის 36.1 მუხლით, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ სამართალს. ყველაზე მჭიდრო კავშირში იგულისხმება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც: ა) სახელშეკრულები ვალდებულება უნდა შესრულებულიყო; ბ) ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია. სამართლის ეს ნორმა ეხება მოძრავ ნივთებს. აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: განმსაზღვრელი

³² გაბიჩვაძე შ., სამართლის არჩევის საკითხი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, საერთაშორისო სამართალი (III), თბილისი, 2000, გვ.54

მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ სად ჰქონდა ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია დამახასიათებელი სახელშეკრულები ვალდებულების შემსრულებელ მხარე ამ ხელშეკრულების დადების დროს. ამიტომ, თუ ასეთმა მხარემ შემდგომში შეიცვალა ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია, ის ვერ მოახდენს გავლენას საკოლიზიო პინციპზე: ყოველთვის გამოყენებული უნდა იქნას იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მხარეს ჰქონდა ადგილსამყოფელი (რეზიდენცია) ხელშეკრულების დადების დრო.³³ აღნიშნული თეორიის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი უპირატესობას არ ანიჭებს რომელიმე ფაქტობრივ გარემოებას - იქნება ეს ხელშეკრულების დადების ადგილი, მხარეთა მოქალაქეობა, ხელშეკრულების შესრულების ადგილი თუ სხვ. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებას მიანიჭოს ყურადღება.³⁴ სწორედ ამიტომ არის კანონით გთვალისწინებული „ივარაუდება“, რომელიც მიუთითებს არა ხისტ მიდგომაზე.

განვიხილოთ ჰიპოთეტური შემთხვევა დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით: კონტრაქტებმა, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანაში აქვთ ძირითადი საქმიანობის ადგილი გააფორმეს ხელშეკრულება, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მხარეთა იერ ორიმხრივი ვალდებულებების შესრულება ბუნებრივია ისმის კითხვა, რომელი კონტრაქტის ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული? იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრის თანახმად, ვინაიდან ხელშეკრულების მიმართ მხოლოდ ერთი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, მართებულია, რომ ეს იყოს იმ მხარის სამართალი, რომლის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაც უფრო ფუნდამენტურია, უფრო კომპლექსურია და უფრო პირნციპულია. უფრო კომპლექსურის იმ იმ კონტრაქტის ვალდებულება,

³³ ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, გვ.85

³⁴ იოსელიანი ა., მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.134

რომლის შესრულებაც „ახასიათებს“ ხელშეკრულებას (გამყიდველი, გადამზიდველი და სხვ.)

უძრავ ნივთებთან დაკავშირებით კანონი იმპერატიულ ნორმას შეიცავს და ხელშეკრულებას უქვემდებარებს იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ეს უძრავი ნივთი მდებარეობს. საინტერესო განსხვავებებია ცალკეულ სახელმწიფოთა სამართლებრივ დოქტრინებში საზღვაო ხომალდების შესახებ. ზოგიერთი სახელმწიფო მას უძრავ ქონებად თვლის და ამდენად, იგი, როგორც ნასყიდობის ობიექტი, დაექვემდებარება მის მფლობელ სახელმწიფოს (მხარის) სამართალს. საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ მიუთითებს საზღვაო ხომალდის მოძრავ ან უძრავ ხასიათზე, მაგრამ სამოქალაქო კოდექსით თუ ვიმსჯელებთ, უძრავ ნივთად იწოდება ის, რაც ნიადაგზე მყარადაა მიმაგრებული. ამდენად საზღვაო ხომალდი საქართველოში შესაძლოა მივაკუთვნოდ მოძრავ ნივთთა კატეგორიას.

მთავარი ის კი არაა, რომ ხელშეკრულება ამა თუ იმ ქვეყანასთან იყოს დაკავშირებული, არამედ მთავარია, ხელშეკრულება ყველაზე მნიშვნელოვნად იყოს დაკავშირებული რომელიმე ქვეყანასთან. აღნიშნული პრინციპია ასახული 36.2 მუხლში ვინაიდან უძრავი ნივთის ადგილსამყოფელი ქვეყნის სოციალური პოლიტიკაა ყველაზე მეტად გამსჭვავლელი ხელშეკრულებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 36-ე მუხლის ოდნავ ხარვეზიანი, ვინაიდან არ არის დაკონკრეტებული პრეზუმციების (ვარაუდები) გაქარწყლების მკაფიოდ განსაზღვრული შესაძლებლობა.

საინტერესოა განვიხილოთ საკითხი, რომლიც დაკავშირებულია საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ისეთ პირობასთან როგორცაა არაა დავა ძირითადი ვალდებულების შერულების თაობაზე არამედ ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანი, ჯარიმა/პირგასამტეხლოსა და ხანდაზმულობის თაობაზე. ვთქვათ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება წესრიგდება ინგლისის სამართლით,

რის თაობაზეც შესაბამისი ფორმის დაცვით მხარეთა შორის მიღწეულია შეთანხმება. თუმცა დავის საგანს არც ერთი ზემოთ აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს, რამდენადაც დავა ეხება ხელშეკრულებით ნაკისრი ჯეროვანი შესრულების ვალდებულების შეუსრულებლობას და შესაბამისი ზიანის ანაზღაურებასა და სხვა მეორად მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სადავო საკითხზე მხარეებს გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმებისთვის არ მიუღწევიათ. ასეთი დასკვნის შემთხვევაში საქართველოს სასამართლომ, როგორც წესი, თუ რაიმე საერთაშორისო საჯარო ხელშეკრულება არ არის სახეზე (სკ-ის მე-2 მუხლი), უნდა იხელმძღვანელოს სკ-ის 36-ე მუხლით, რათა დაადგინოს დავის საგანზე გამოსაყენებელი სამართალი. თუმცა ნიშანდობლივია, რომ განსახილველი ხელშეკრულება წარმოადგენს საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებას თავისი სამართლებრივი ბუნებით. საქართველო კი, როგორც აღინიშნა CISG-ს ხელშემკვრელი სახელმწიფოა, რის გამოც, საქართველოს შესაბამის სასამართლოს, უპირველეს ყოვლისა, მოუწევს თავად CISG-ის გამოყენების სფეროს შემოწმება მისივე ავტონომიური კოლიზიური ნორმების ჩათვლით. ვინაიდან CISG-ის მუხლი 1-ლის (1) (ა) დანაწესით შეუძლებელია CISG-ის გამოყენება, რადგან ინგლისი არ წარმოადგენს მის ხელშემკვრელ სახელმწიფოს, მაშინ საქართველოს სასამართლოს მოუწევს სკ-ის 36-ე მუხლით ხელმძღვანელობა. სკ-ის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი: „თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს“. საქართველოს სასამართლომ შეიძლება ივარაუდოს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სამართალთან, სადაც გამყიდველს, ანუ ქართულ კომპანიას, როგორც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელს, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ადმინისტრაციის რეზიდენცია. როგორც წესი,

ე.წ. სასყიდლიან, სინალაგმატურ სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამახასიათებელი ვალდებულების შემსრულებელ მხარედ მიიჩნევა ის მხარე, რომელიც, ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას. ნასყიდობის შემთხვევაში კი სწორედ მყიდველი გადასცემს გამყიდველს ნივთს და მასზე საკუთრებასა და სათანადო დოკუმენტაციას ფულის გადახდის სანაცვლოდ. მოსარჩელემ მოთხოვნა დააყენა არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არამედ ასევე ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის - 45,000 აშშ დოლარის - გადახდის დაკისრებაზეც. CISG ვრცელდება ხელშეკრულებიდან გასვლასა და ზიანის ანაზღაურებაზე, მაგრამ იგი არ არეგულირებს ჯარიმის საკითხს. შესაბამისად, საქართველოს სასამართლოს მოუწევს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლით განსაზღვრული სამართლის გამოყენება ჯარიმის დაკისრების თაობაზე, რამდენადაც მხარეები შესაბამის გამოსაყენებელ სამართალზე არ შეთანხმებულან.³⁵

II. მომწესრიგებელი სამართლის დადგენა საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებაში

პრეზუმფცია კონტრაქტის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის ან ადმინისტრაციის რეზიდენციის ადგილის სამართლის გამოყენების სასარგებლოდ, რომელიც დამახასიათებელ შესრულებას ახორციელებს, მთლიანად ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება. ასეთი სახის ხელშეკრულებების მიმართ მხედველობაში მიღებულ იქნა მისი სფეციფიკური ხასიათი და საქართველოს სკსკ-ით დადგინდა სპეციალური სახის პრეზუმფცია.³⁶

³⁵ სვანაძე გ., საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, გვ.58-59

³⁶ იოსელიანი ა., მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.158

ტვირთის (ნასყიდობის ობიექტის) გადაზიდვის მომენტი ძირითადია სავაჭრო ურთიერთობებში, რომლის პირობებიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ძირითადი, ისე ცალკე ხელშეკრულებით. ზემოაღნიშნული ნორმიდან ეს ხელშეკრულებაც იმ ქვეყნის სამართალს დაექვემდებარება, რომელთანაც ეს ურთიერთობა ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული. ამ დროს მჭიდრო კავშირში მოიაზრება ფაქტობრივი კავშირი იმ ქვეყანასთან, სადაც ხელშეკრულების დადებისას გადამზიდველს ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელი აქვს, თუ ამავე ქვეყანაშია დატვირთვის, გადმოტვირთვის, ან გამგზავნის ძირითადი ადგილსამყოფელი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სკსკ-სთან შედარებით, გერმანიის სკსკ-ის კოდექსი და რომის 1980 წლის კონვენციის მე-4 მუხლი უფრო ვრცელია და დამატებით შემდეგი სახის პრეზუმფციას ითვალისწინებენ: „ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებად, წინამდებარე ნორმის შესაბამისად, ასევე განხილულ უნდა იქნეს ერთი რეისის შესრულების მიზნით დაფრახტვის ხელშეკრულებები (გემის დაქირავება ტვირთის ერთი მიმართულებით გადაზიდვის მიზნით) და სხვა ხელშეკრულებები, რომელთა ძირითადი მიზანია ტვირთების გადაზიდვა“.³⁷

აღსანიშნავია, რომ სკსკ-ის 36.3 მუხლი სრულყოფილად და მკაფიოდ ასახავს, რომ სასამართლოს უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უარი თქვას კანონით განსაზღვრულ სპეციალურ პრეზუმფციებზე, თუკი ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა გარემოების მხედველობაში მიღების შემდეგ დაადგენს, რომ გარიგება უფრო მჭიდროდ სხვა ქვეყანასთანაა დაკავშირებული. კანონისმიხედვით მხოლოდ გადაზიდვის თაობზე მუხლის ჩანაწერი ითვალისწინებს სასამართლოს ასეთი შესაძლებლობის მკაფიოობას და აღნიშნული მუხლის ბოლო წინადადებაში ნათქვამია: „სხვა შემთხვევებში მოქმედებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები“, ე.ი ყველაზე მჭიდრო კავშირის კონცეფცია.

³⁷ 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ; http://www.secola.org/db/1_01/dir_en.pdf

მსგავს ჩანაწერს ითვალისწინებს ასევე კონვენციის მე-4 მუხლი და მიუთითებს, რომ: „წინა მუხლებით გათვალისწინებული ვარაუდები არ მიიღება, თუ ეს გარემოებიდან ჩანს მთლიანობაში, რომ ხელშეკრულება უფრო მჭიდრო კავშირშია სხვა ქვეყანასთან“³⁸. ივარაუდება, რომ სკსკ-ის მხოლოდ 36.3 მუხლის ჩანაწერია სრულყოფილი და ეფუძნება და იზიარება გაეროს კონვენციითა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მჭიდრო კავშირის კონვენციის სტანდარტებს.

III. მომწესრიგებელი სამართლის დადგენა საერთაშორისო დაზღვევის ხელშეკრულებაში

რა თქმა უნდა, როდესაც ვსაუბრობთ საერთაშორისო კერძოს ხასიათის სავაჭრო ხელშეკრულებებზე ნათელია, რომ სავაჭრო ხელშეკრულების ობიექტი ექვემდებარება დაზღვევას და, შესაბამისად, იდება სადაზღვევო ხელშეკრულება. თუ ხელშეკრულებაში მითითებული არ არის დაზღვევასთან გამოსაყენებელი სამართალი, მაშინ მოქმედებს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც სადაზღვევო ძირითადი რისკის ნაწილი არსებობს. სკსკ დაზღვევასთან დაკავშირებით კვლავ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ყველაზე მჭიდრო კავშირი კონვენციის საკითხს, თუმცა მსგავსად სხვა მუხლებისა ჩანაწერი სრულყოფილი არ არის.

აქვე აღვნიშნავ, რომ 1980 წლის კონვენციის წესები არ ვრცელდება დაზღვევის კონტრაქტებზე, რომლებიც „მოიცავს რისკებს ევროპის ეკონომიკური საზოგადოების წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე. მისთვის რომ განსაზღვროს, არის თუ არა რისკი ამ ტერიტორიებზე, სასამართლო გამოიყენებს მის შიდა კანონმდებლობას“, თუმცა „წინა პუნქტი არ ვრცელდება ხელახალი დაზღვევის კონტრაქტებზე“.

³⁸ იქვე მე-4 V მუხლი

თავი IV. დისტანციურად დადებული საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების რეგულირება

სახელშეკრულებო ურთიერთობების თანამედროვე პრაქტიკაში დამკვიდრებაზე საუბრისას აუცილებელია ე.წ. ელექტრონული ხელშეკრულების არსებობის საკითხს შევხვით, რომელიც ელექტრონული ფორმითაა დადებული და ხელშეკრულების ახლებურ ფორმას წარმოადგენს. ელექტრონული ხელშეკრულების დადების დროს, უმეტეს შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთს არც კი იცნობენ. ელექტრონული საშუალებით დადებული საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში ვითარდება ხელშეკრულების შინაარსიც მისი განსაზღვრის პრაქტიკული აუცილებლობაც.³⁹

საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის პროცესში სულ უფრო იზრდება უცხოურ კომპანიებთან სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობის ინტერესი. ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. სწორედ ამიტომ თითოეული სახელმწიფო მისწრაფვის, შეუქმნას მეწარმეებს სათანადო პირობები საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისათვის.⁴⁰

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა ვაჭრობის ტრადიციაში. ხელშეკრულების დადების ინოვაციურმა საშუალებებმა, დისტანციური და ელექტრონული კომერციის განვითარება, ელექტრონული მედიისა და ინტერნეტის არნახულმა პროგრესმა აუცილებელი გახადა ეკონომიკური და

³⁹ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ.148

⁴⁰ გოცირიძე ს., ელექტრონული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2019, გვ.8

სამართლებრივი ინსტიტუტების ადაპტირება ახალ ტექნოლოგიებთან ვაჭრობის წესებთან.⁴¹

დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში მიიღწევა დისტანციურად ე.წ. შორ მანძილზე დადებული გარიგებების გზით. შესაბამისად, მხარებს წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში უწყბთ განსაკუთრებული წინდახედულობის გამოვლინება, რათა ხელშეკრულების ძირითადი პირობები ჩამოყალიბდეს მათი ურთიერთშეთნხმების საფუძველზე და ასახავდეს მათ ნებას. დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების დროს მხარეება უნდა გააკეთონ შესაბამის ფორმით დათქმა თუ რომელი ქვეყნის სამართლით მოწესრიგდება მათ შორის წარმოშობილი საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობა.

წინამდებარე თავში განვიხილავ სამართლის არჩევის საკითხის თავისებურებებს დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების კრილში და აგრეთვე მიმოვიხილვა თუ რამდენად არეგულირებს აღნიშნულ საქართველოს კანონმდებლობა სხვა ქვეყნის კანონმდებლობასთან შედარებით.

I. გამოსაყენებელი სამართალი

დისტანციურ, ინტერნეტით შემდგარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში საყურადღებოა, რომელი ქვეყნის სამართლით უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების ფორმასთან შესაბამისობა. გამოსაყენებელი სამართლის შესახებ რეგულაციის მე-11 მუხლის თანახმად, თუ ეს ხელშეკრულება დადებულია მხარეთა შორის ერთსა და იმავე ქვეყანაში, მაშინ ფორმასთან შესაბამისობა დარეგულირდება მხარეთა მიერ შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართლით ან იმ ქვეყნის სამართლით, სადაც

⁴¹ Katz, A. W., Is Electronic Contracting Different? Contract Law in the Information Age

ხელშეკრულება დაიდო. ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, ხელშეკრულების ფორმა ჩაითვლება დაცულად იმ ქვეყნის სამართლის შესაბამისად, რომლითაც რეგულირდება ხელშეკრულება, იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ერთ-ერთი მხარე იმყოფება ან ერთ-ერთი მხარეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.⁴²

რამდენადაც მარტივი და მოსახერხებელია ინტერნეტის საშუალებით ვაჭრობა, იმდენად რთული და კომპლექსურია მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი სამართლის არჩევა და მისი გადაჭრა. იმისთვის, რომ აღნიშნულმა ფაქტობრივმა თანაბრობამ იურიდიული ძალა შეიძინოს, საჭიროა ნორმატიული საფუძველი.⁴³

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ. სკს არ ადგენს გამოსაყენებელი სამართლისთვის საჭირო სავალდებულო ფორმას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო დავა ქართული კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ან ტექსტური ფორმით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფორმის დაცვის მოთხოვნა არ არსებობს მათ შორის მომხმარებელსა და პროფესიონალ სერვისის ან

⁴² REGULATION (EC) No 593/2008 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 17 June 2008 on the law applicable to contractual obligations (Rome I) <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32008R0593>

⁴³ ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებებით, საქართველოს იურიდიული ასოციაციის ჟურნალი N1, თბილისი, 2016 წელი, გვ.77

საქონლის მიმწოდებელ პირს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, რაც ნიშნავს, იმას რომ მომხმარებელთან დადებული ელექტრონული ხელშეკრულებით ნებისმიერი ქვეყნის სამართლის არჩევა ჩაითვლება ნამდვილად.⁴⁴

მას შემდეგ, რაც მოხდება იურისდიქციის საკითხის გადაწყვეტა, სასამართლოს წინაშე დგება სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი – რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული დავის გადასაწყვეტად. ვინაიდან ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულება იდება სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა (კომპანიების) მიერ, შესაძლოა, საჭირო გახდეს ორი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაც. ბუნებრივია, ხელშეკრულების ორივე მხარეს სურს, დავა გადაწყდეს მისთვის ნაცნობი, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი ინტერესების დაბალანსება; ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად ასევე სასურველი იქნება, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან, რომელმა სასამართლომ რომელი ქვეყნის კანონმდებლობით იხელმძღვანელოს დავის გადასაწყვეტად; თუმცა ასეთის არარსებობისას თავად სასამართლომ უნდა განსაზღვროს ყველაზე შესაბამისი კანონი.

II. საქართველოს კანონმდებლობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ხელშეკრულების დადების ინოვაციურმა საშუალებებმა, დისტანციური და ელექტრონული კომერციის განვითარებამ, ელექტრონული მედიისა და ინტერნეტის არნახულმა პროგრესმა აუცილებელი გახადა ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ადაპტირება ახალ ტექნოლოგიებსა და ვაჭრობის წესებთან. დღეისათვის არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც სხვა საკანონმდებლო

⁴⁴ ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებებით, საქართველოს იურიდიული ასოციაციის ჟურნალი N1, თბილისი, 2016 წელი, გვ.81-2

აქტი არ შეიცავს დებულებებს დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ.⁴⁵

მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის სფეროში წარმოიშვა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში პროგრესისა და ჰარმონიზაციის მიზნით. მოდელური კანონი წერილობით ფორმას მიიჩნევს ელექტრონული ვაჭრობაზე დაფუძნებული რეგულაციისათვის მთავარ დაბრკოლებად, მის მიმართ წაყენებულისამართლებრივი მოთხოვნების გამო. ამასთან, მოდელური კანონი ლეგიტიმურად მიიჩნევს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადებულ ხელშეკრულებას. იგი შეიცავს პასუხს ისეთ კითხვებზე, რაც არ არის გათვალისწინებული ვენის კონვენციით, უფრო ზუსტად მე-13 მუხლით, რადგან იგი პირდაპირ წყვეტს წერილობით ფორმასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათ შორის, ოფერტის, აქცეპტის, გადახედვისა და მოდიფიკაციის საკითხებს.⁴⁶

მიუხედავად იმისა, რომ მოდელური კანონი არ წარმოადგენს სავალდებულო საკანონმდებლო აქტს, UNCTIRAL ცდილობს შექმნას პლატფორმა ელექტრონული ხელშეკრულებების საერთაშორისოდ აღიარებისათვის იმ მხარეთათვის, რომელთა ქვეყნის სამართალიც არ ითვალისწინებს მსგავს რეგულირებას ან სათანადოდ არ იცავს მხარეებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, UNCITRAL-მა მიიღო „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ „კონვენცია, რომლის მიზანია დაეხმაროს ქვეყნებს მოახდინონ მათი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ელექტრონული ხელმოწერა ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომის საფუძველზე გაუთანაბრონ მატერიალური ფორმით განხორციელებულ ხელმოწერას.⁴⁷

⁴⁵ გოცირიძე ს., ელექტრონული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2019, გვ.9

⁴⁶ გოცირიძე ს., ელექტრონული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2019, გვ.17

⁴⁷ იქვე, გვ.18

თავი V. საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში სამართლის არჩევის ქართული მაგალითები

საქართველოში ჯერჯერობით ხშირი არაა საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავები და შესაბამისად ძალზედ მწირია სასამართლო პრაქტიკას. თუმცა, ქვეყნის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საგარეო ურთიერთობებისა და საგარეო ვაჭრობის განვითარება, დღესდღეობით ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ სხვა ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან საქმიან მოლაპარაკებას და მოლაპარაკების პირობები მოაქციონ ხელშეკრულებაში, განსაზღვრონ უფლება მოვალეობები, სტანდარტული პირობები და სათანადო ფორმით გააკეთონ დათქმა ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის თაობაზე.

დღესდღეობით ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ეკონომიკური აგენტი ახორციელებს მოლაპარაკებებს უცხოურ პარტნიორებთან და ბიზნეს განვითარების თვალსაზრისით აფორმებენ სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებს. საინტერესოა თუ რამდენად აქცევენ ყურადღებას და რამდენად იყენებენ პრაქტიკაში სკსკ-ის 35-ე და 36-ე მუხლით მინიჭებულ უფლებას, სამართლის არჩევის საკითხთან დაკავშირებით. გამოკითხვის ობიექტი გახდა რამდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში სამართლის არჩევის საკითხის აქტუალურობა და მიზეზი თუ რატომ არ ხდება

წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში ამ საკითხზე სათანადო ყურადღების მიქცევა.

პირველი გამოკითხული შპს არის სამშენებლი მასალებისა და სამშენებლო ტექნიკის იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანია შპს ციტადელი (ს/კ 404924285)⁴⁸. კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის სფეროს განეკუთვნება აქტიური მოლაპარაკებები უცხოელ ბიზნეს პარტნიორებთან მასალისა და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით. კომპანიის შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელის განმარტებით, თავდაპირველად, სამართლის არჩევის საკითხზე ყურადღება გამახვილებული არ იყო და ხელშეკრულებები ფორმდებოდა სტანდარტული, შაბლონური ფორმით, მაგრამ მას შემდეგ როდესაც კომპანია რეალური საფრთხის წინაწე დადგა, რომ დავაში შესულიყო ერთ-ერთ მომწოდებელ თურქულ ორგანიზაციასთან და ხელშეკრულებაში სამართლის არჩევის თაობაზე იყო ჩანაწერი, რომ ხელშეკრულება წესრიგდებოდა თურქული სამართლის მიხედვით აღნიშნული კი მყიდველი კომპანიისთვის დაკავშირებული იყო გარკვეულ სირთულეებთან. საკითხი გადაჭრილი იქნა მოლაპარაკების გზით, თუმცა აღნიშნული გახდა საფუძველი იმისა, რომ მხარეები ხელშეკრულების გაფორმებამდე არეგულირებენ სამართლის არჩევის საკითხს და წინასწარ განსაზღვრავენ მას ხელშეკრულებაში.

კომპანიას პრაქტიკაში ჰქონდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ მომწოდებელ კომპანიასთანა გაფორმებული გენერალური სავაჭრო ხელშეკრულებაში მომწერიგებელ სამართლად განსაზღვრული იყო გამყიდველი კომპანიის ეროვნული სამართალი, თუმცა მას შემდეგ რაც საქართველოში გაიხნა გამყიდველი ორგანიზაციის ფილიალი და ქვეყანაში ოფიციალურად დაინიშნა წარმომადგენელი,

⁴⁸ ამონაწერი საჯარო სამეწარმეო რეესტრიდან, <https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFDa07Kb6FD7Q39rra|flichtz5Yz4ZMpa p5pvncURQxr>

ხელშემკვრელმა მხარეებმა მოლაპარაკების საფუძველზე მოახდინეს დამატებითი შეთანხმება გენერალურ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და მომწესრიგებელ სამართლად განსაზღვრეს ქართული სამართალი.

გამოკითხულ იქნა ასევე ერთ-ერთი კომპანიას, რომლის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება საერთაშორისო გადაზიდვები. როგორც კომპანიაში განმარტეს დათქმა მომწერიგებელი სამართლის თაობაზე არ ხდება, ვინაიდან მათ პარტნიორი კომპანიების მიმართ აქვთ განსაკუთრებული ნდობა და მიიჩნევენ, რომ დავის წარმოშობის რეალური საფრთხე არ დგას. თუმცა აღნიშნეს, რომ საკმაოდ ხშირადაა გარკვეული სახელშეკრულებო სირთულეები, რომლებიც გვარდება მოლაპარაკების საფუძველზე. როგორც განმარტეს უცხოელ პარტნიორებთან გაფორმებული გადაზიდვის ხელშეკრულებები დათქმას მომწერიგებელი სამართლის თაობაზე საერთოდ არ ითვალისწინებს.

ცხადია, რომ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული მიდგომა სამართლის არჩევის საკითხთან დაკავშირებით. არსებობენ კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ წინდახედულობის გათვალისწინებით და წინასახელშეკრულების მოლაპარაკების დროს ითვალისწინებენ ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხს მიუხედავად ხანგრძლივი პარტნიორული თანამშრომლობისა და ნდობის, მაგრამ არსებობს კომპანიები, რომლებიც სახელშეკრულების ურთიერთობას ამყარებენ ნდობაზე და ხელშეკრულებების გაფორმების დროს სამომავლოდ სამართლებრივი დავის არსებობას არ განიხილავენ.

VI. დასკვნა

ამდენად, საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სპეციალიზირებული პრინციპები და ნორმები ცალკე არ არსებობს, რამდენადაც ყველა ისინი დამოკიდებულებაშია სკს-ის კოლიზიური და მატერიალურ სამართლებრივი რეგულირების მეთოდებთან, ნორმებთან.

საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, მართალია, მხარეთ მიერ არჩეული უნდა იქნეს ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართალი, მაგრამ აქ ყველაზე მთავარია ის, რომ ხელშეკრულების დადებისას სამართლის არჩევა უნდა მოხდეს მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპით. საერთაშორისო ხასიათის კომერციულ ხელშეკრულებებში მხარეთა ნების ავტონომიის ფარგლები თითქმის შეუზღუდავია. კონტრაქტებს შეუძლიათ გვერდი აუარონ ნაციონალურ სამართალს თუკი ისინი აირჩევენ სხვა ქვეყნის სამართალს. თავად მხარეები დამოუკიდებლად თანხმდებიან სახელშეკრულებო პირობებზე, ეს იქნება მხარეთა უფლება-მოვალეობები თუ სხვა. რეალურად, მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, საერთაშორისო ხასიათის კომერციულ ხელშეკრულებებში, შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევებში თუკი კონტრაქტთა მიერ არჩეული უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენება აშკარად შეთავსებელი იქნება საჯარო წესრიგთან, რაც ძალზედ იშვიათ ხდება.

სახელმწიფოთა შორის მეგობრული თანამშრომლობისა, და, ასევე, საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ლიბერალიზაციის მიზნით, იმის გამო, რომ ცალკეულ სახელმწიფოებს განსხვავებული სამართლებრივი სისტემა

აქვთ, რამაც ხელშეკრულების მხარეებს შორის შეიძლება არაერთაზროვანი პოზიცია ჩამოაყალიბოს, იქმნება უნიფიცირებული, ანუ ერთიანი სამართლებრივი ნორმები.

მიუხედავად, იმისა, რომ მხარეებს უფლება აქვთ ისაგებლონ ნების ავტონომიით და წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში შესაბამის ფორმით გააკეთოთ დათქმა ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის თაობაზე, ხშირ შემთხვევაში ამ უფლებას არ იყენებენ, რაც გამოწვეული სხვადასხვა ფაქტორით, არცოდნით ანდა სამომავლოდ დავის არარსებობის იმედით. ვინაიდან ბიზნეს პარტიორებისთვის ხშირ შემთხვევაში მოლაპარაკების პროცესში სამომავლოდ დასაშვები დავის ვარაუდი არ ხდება.

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ შეესაბამება საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებს, საერთაშორისო სავაჭრო სფეროში დამკვიდრებულ ჩვეულებებს. თუმცა მაინც საჭიროებს დახვეწას კანონის 35-ე და 36-ე მუხლი, აღნიშნულ მუხლებში სასურველია მოხდეს ცვლილებები შეტანა და მათი შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 35. სამართლის არჩევა მხარეების მიერ

1. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით. მხარეთა მიერ სამართლის არჩევა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით.
2. არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით ხელშეკრულების დადების შემდეგაც, ნებისმიერ

დროს. მხარეთა მიერ არჩეული ქვეყნის სამართლის შეცვლა სხვა ქვეყნის სამართლით უნდა მოხდეს მხარეთა შორის ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

3. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება შესაძლოა დაექვემდებაროს ორ ან მეტ სამართალს.
4. სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.

რაც შეეხება კანონის 36-ე მუხლს, თუ ხელშეკრულებების მიმართ გამოიყენება სპეციალური პრეზუმფციები, რომელთა გაქარწყლებაც შესაძლებელია თუკი სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულება უფრო მჭიდროდ დაკავშირებულია სხვა ქვეყანასთან 36-ე მუხლის შინაარსი უნდა გახდეს მკაფიო.

აღნიშნული ცვლილებების კანონში ასხვა ვფიქრობ, რომ უფრო ნათელს გახდის მის შინაარსს და მიზნობრიობას და უფრო მეტად მოხდება მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპის საკანონმდებლო დონეზე აღიარება.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა:

ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001

გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2011

გაბიჩვაძე შ., სამართლის არჩევის საკითხი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, საერთაშორისო სამართალი (III), 2000, 51

მათიაშვილიზ., UNIDROIT - საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, საერთაშორისო სამართალი (III), 2000, 6

სვანაძე გ., საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მე-4 გამოცემა, 2015, 38

ოსელიანი ა., მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, თბილისი, 2010

ტაბატაძე დ., გამოსაყენებელი სამართლის და კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრა ელექტრონული ხელშეკრულებებით, საქართველოს იურიდიული ასოცირების ჟურნალი N1, თბილისი, 2016 წელი,

გოცირიძე ს., ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2019 წელი.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

A.F.M. MANIRUZZMAN, CHOICE OF LAW IN INTERNATIONAL CONTRACTS-SOME FUNDAMENTAL CONFLICT OF LAWS ISSUES, printed in Great Britain, 1999

Betsch N, Davies A, Krause R, Malmberg J, Monticelli F, Robin-Olivier S, Sari D, Zekic N, International private law aspects and dispute settlement related to transnational company agreements, final report 20 October 2009

The Hague Conference on Private International law, Principles on Choice of law in International Commercial Contracts, The Netherlands, 2015

Coyle J., Interpreting choice of law clauses,

Hook M., The choice of law contract, Oxford and Portland, Oregon, 2016

სტატია:

Wood Ph, Ten points fro choosing the governing law an international business contract,
Business law international homepage, 2020

ნორმატიული აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, მიღების თარიღი 24/08/1995;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ N 1361-III, 1998
წლის 29 აპრილი. ძალაშია 1998 წლის 1 ოქტომბრიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-
გაყიდვის შესახებ, ვენა, 1980. საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის
1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით. [http://cisg7.institut-e-
business.de/pdf/Textsammlung/textsammlung-georgisch.pdf](http://cisg7.institut-e-business.de/pdf/Textsammlung/textsammlung-georgisch.pdf)